ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეოო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ნოემბრის 5 № 19 ნაწილი პირველი

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

200. საავტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ. დებულება საავტორო უფლების შესახებ.
201. სამზარო სასამართლოების გაუქმებისა და სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების ქვემდებარეობის შესახებ.
202. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ.
203. ადგილობრივი საგლეხო დამზღვევი ხელეზღვეველი სათესლე მარაგის (ფონდის) შესახებ.
204. არაშემძლედ ცნობილი პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების საქმეთა ლიკვიდაციის ერთი ლიკვიდატორისათვის დაკისრების შესახებ.
205. სისხლის სამართლის კოდექსის დანართის—სამხედრო დანაშაულთა დებულების—მე-7 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ.
206. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული საკურორტო თათბირის შესახებ.
207. „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებისათვის“ 40¹ მუხ. დამატების შესახებ.
208. სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიგებებთა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ.
209. „სსსკ-ის საზღვარ გარეთ მომგმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების სათაურისა და 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

210. სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასული მდგმურებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე შენარჩუნების პირობების დებულების დამატების შესახებ.
211. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისათვის 106[1] მუხ. დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

212. ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოქვეყნებული ა/კ სხსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქციის მე-7 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ.
213. სიექსკურსიო-სატურისტო სააქციო საზოგადოება „ტურისტი"-ს ადგილობრივ გადასახადისა და გამოსაღებისაგან, აგრეთვე სასამართლო ბაჟის და სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.
214. ბინების სანიტარული დაცვის შესახებ.
215. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ.
216. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით ანგარიშის გასწორების წესის დამყარების შესახებ.
217. სამედიცინო და საევტერინარო დარგის მომუშავეთა, აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
218. საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.
219. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929/30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებს.
220. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929/30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების თაობაზე" გამოცემული 1929 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილების მე-3 მუხლისთვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

200. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საავტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნეს ამა დადგენილებასთან დართული დებულება საავტორო უფლების შესახებ და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ საქართველოს სსრ და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთი სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დღიდან გამოქვეყნებისა.

2. ყველა უფლებრივი ურთიერთობა და დავა, რაც აღძრულია საავტორო უფლების ნიადაგზე ზემოაღნიშნული საავტორო უფლების დებულების გამოქვეყნებამდე, მათ შორის ისეთიც, რომელიც საავტორო ჰონორარის უფლებიდან გამომდინარეობს, გადაწყდება: 1928 წლის ივლისის 17-მდე აღძრული—სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საავტორო უფლების საფუძველთა შესახებ“ 1925 წლის იანვრის 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1925 წ. მე-7 №-რი, მუხ. 66 და 67) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებისა, წესებისა და ცირკულარების საფუძველზე, ხოლო 1928 წლის ივლისის 17-ის შემდეგ აღძრული—სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის მაისის 16-ს დამტკიცებული „საავტორო უფლების საფუძვლებისა“ (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. 27 №-რი, მუხ. 246) და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის იმ დადგენილებებისა, ინსტრუქციებისა, წესებისა და ცირკულარების საფუძველზე, რომელიც აღნიშნულ აქტს არ ეწინააღმდეგება.

შენიშვნა. საავტორო უფლების მოქმედების ვადების შესახებ საკითხები გადაწყდება იმ წესების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საავტორო უფლების საფუძველთა ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ 1928 წლის მაისის 16-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 27 №-რი, მუხ. 245) მე-2 მუხლით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან:

ა) გამოსცეს, კანონით აღნიშნულ შემთხვევაში სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, დადგენილებები, წესები და ინსტრუქციები ყველა იმ საკითხის შესახებ, რომლის გადაწყვეტაც საავტორო უფლების დებულებით ხსენებულ კომისარიატს აქვს დაკისრებული;

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი საგამოცემლო ხელშეკრულებით საავტორო ჰონორარის უკიდურესი განაკვეთებისა (საავტორო უფლების დებულების 24 მუხლი).

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დაავალონ ამ რესპუბლიკებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებს, რათა მათ იმავე ვადაზე და იმავე წესით შეასრულონ ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული მინდობილობა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყელენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საავტორო უფლების შესახებ.

1. საავტორო უფლება ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც გამოცემულია (მუხ. 15) საქართველოს სსრ და სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე, აგრეთვე ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც საქართვ. სსრ და აღნიშნული რესპუბლიკების ტერიტორიაზე არის ხელნაწერის და ესკიზის სახით ან სხვა ობიექტიური ფორმით,—ეკუთვნის ავტორს და მის უფლების მენაცვლეს, დამოუკიდებლად მათი მოქალაქეობისა.

2. საავტორო უფლება საზღვარგარეთ გამოცემულ ნაწარმოებზე ან ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც ხელნაწერის თუ ესკიზის სახით ან სხვა რაიმე ობიექტიური ფორმით საზღვარგარეთ არის, ცნობილ იქნება მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ არსებობს სპეციალური შეთანხმება სსრ კავშირისა და სათანადო სახელმწიფოს შორის, თანაც მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც ამ შეთანხმებით დაწესებულებულია.

3. სსრ კავშირის მოქალაქისა და მისი მემკვიდრის საავტორო უფლება ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც უცხო სახელმწიფოში გამოიცა ან ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინახება ხელნაწერის, თუ ესკიზის სახით, ან და სხვა რაიმე ობიექტიური ფორმით, დაცული იქნება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სსრ კავშირისა და ამ სახელმწიფოს შორის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება.

ავტორის უფლების მენაცვლის,—მემკვიდრეთა გარდა,—საავტორო უფლება ამა მუხლით გათვალისწინებულ ნაწარმოებზე არ იქნება დაცული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

4. საავტორო უფლება ვრცელდება ლიტერატურისა, მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ ნაწარმოებზე, რა საშუალებითაც და რა ფორმითაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს იგი შექმნილი, და როგორიც უნდა იყოს მისი ღირსება და დანიშნულება, მაგალითად: ზეპირი ნაწარმოები (სიტყვა, ლექცია, მოხსენება და სხვ.); წერილობითი ნაწარმოება (წიგნი, წერილი, კრებული და სხვ.); დრამატიული და მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები; თარგმანი; ხორეოგრაფიული ნაწარმოები და პანტომიმა, რომელთა შესრულების წესიც განმარტებულია წერილობით ან სხვა რაიმე საშუალებით; კინემატოგრაფიული სცენარი; მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოთ; ნახატი, სამხატვრო, საქანდაკო, საარქიტექტურო და გრაფიული ხელოვნების ნაწარმოები, ილუსტრაცია, გეოგრაფიული რუქა; ისეთი გეგმა, ესკიზი და პლასტიური ნაწარმოები, რაც სამეცნიერო დარგს, ტეხნიკას ან დრამატიული თუ მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოების სცენაზე დადგმას შეეხება; კინო-ლენტი; ფოტოგრაფიული ნაწარმოები და აგრეთვე ფოტოგრაფისებური საშუალებით დამზადებული ნაწარმოები და სხვ.

5. საავტორო უფლება ორი ან რამდენიმე ავტორის შრომით შექმნილ ნაწარმოებზე ეკუთვნის ყველა თანაავტორს იმისდამიუხედავად წარმოადგენს ასეთი კოლექტიური ნაწარმოები ერთ განუყოფელ მთლიან ნაწარმოებს, თუ იგი შესდგება ისეთი ნაწილებისაგან, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი სამეცნიერო, ლიტერატურული ან მხატვრული მნიშვნელობა. თანაავტორების ურთიერთობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება მათი შეთანხმებით.

კოლექტიური ნაწარმოების თვითეული თანაავტორი შეინარჩუნებს საავტორო უფლებას, ნაწარმოების იმ ნაწილზე, რომელიც მის მიერ არის შექმნილი, უკეთუ ამ ნაწილს დამოუკიდებელი სამეცნიერო, ლიტერატურული ან მხატვრული მნიშვნელობა აქვს და უკეთუ თანაავტორებთან დადებული შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. ისეთ ნაწარმოებთა კრებულის შემდგენელთ, რაც ვისიმე საავტორო უფლების საგანს არ წარმოადგენს (მაგალითად, ისეთი ნაწარმოები, რომელსაც გაუვიდა საავტორო უფლების ვადა; ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტი, როგორიცაა: კანონი, სასამართლოს გადაწყვეტილება და სხვ., ხალხური შემოქმედების ნაწარმოები და სხვ.), ეკუთვნის საავტორო უფლება აღნიშნულ კრებულზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ დამოუკიდებლად დაამუშავეს ხსენებული ნაწარმოებნი. ასეთივე უფლება ეკუთვნის აღნიშნული კატეგორიების ცალკე ნაწარმოების რედაქტორსაც.

ხოლო ეს უფლება ვერ დაიბრკოლებს სხვა პირს დამოუკიდებლად დაამუშავოს და გამოსცეს ივივე ნაწარმოები.

ისეთი ნაწარმოებთა კრებულის შემდგენელთ, რომელიც ვისიმე საავტორო უფლების საგანს წარმოადგენს, საავტორო უფლება ამ კრებულზე ეკუთვნის მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ კრებული შედგენილია ავტორთა უფლების დაცვით. კრებულში შეტანილ ნაწარმოებთა ავტორები შეინარჩუნებენ უფლებას .გამოუშვან აღნიშნული ნაწარმოებები სხვა გამოცემებში, უკეთუ კრებულის შემდგენელთან დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. საავტორო უფლება კინო-ლენტზე ეკუთვნის ამ ლენტის გამომშვებ კინო-წარმოების საწარმოს. სცენარის ავტორი შეინარჩუნებს უფლებას მიიღოს სასყიდელი კინო-ლენტის საჯარო დემონსტრაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ავტორს აქვს განსაკუთრებული უფლება თავისი სახელით ან პირობითი სახელით (პსევდონიმი) ან და უსახელოდ (ანონიმი) გამოაქვეყნოს თავისი ნაწარმოები და კანონით დაწესებული ვადის განმავლობაში ხელახლა გამოუშვას და გაავრცელოს იგი კანონით ნებადართული ყოველგვარი საშუალებით და აგრეთვე ყოველი კანონიერი გზით გამოიყენოს აღნიშნული განსაკუთრებული უფლება ქონებრივი გამორჩენის მისაღებად.

9. გამოუცემელი დრამატიული, მუსიკალურ-დრამატიული, საპანტომიმო, ხორეოგრაფიული და კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორს აქვს განსაკუთრებული უფლება თვისი ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისა.

ჩამოთვლილი კატეგორიების გამოუცემელი, მაგრამ თუნდაც ერთხელ საჯაროდ შესრულებული ნაწარმოების მიმართ საქართველოს სსრ, მოკავშირე აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატების, კუთვნილებისამებრ, უფლება აქვთ ნება დართონ მისი საჯაროდ შესრულებისათვის—ავტორის თანხმობის გარეშეც, ხოლო იმ პირობით კი, რომ გადახდილ იქნეს საავტორო ჰონორარი.

ერთ-ერთი აღნიშნული კატეგორიის გამოცემული ნაწარმოების ავტორს არ შეუძლიან აკრძალოს ამ ნაწარმოების საჯაროდ შესრულება, ხოლო მას უფლება აქვს, მე-10 მუხლის „ი“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, მიიღოს საავტორო ჰონორარი.

ჰონორარის რაოდენობას და მისი გადახდის წესს ორივე შემთხვევაში განსაზღვრავს საქართველოს სსრ, მოკავშირე აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატები, კუთვნილებისამებრ.

10. საავტორო უფლების დარღვევად არ ჩაითვლება:

ა) სხვისი ნაწარმოების გადათარგმნა სხვა ენაზე;

ბ) სხვისი ნაწარმოების გამოყენება ახალი, მისგან არსებითად განსხვავებული ნაწარმოების შესაქმნელად, ხოლო ამასთან მოთხრობითი ნაწარმოების გადაკეთება დრამატიულ ნაწარმოებად და კინო-სცენარად და წინაუკმი, აგრეთვე დრამატიული ნაწარმოების გადაკეთება კინოსცენარად და წინაუკმი, შეიძლება მხოლოდ ავტორის ან მისი უფლების მენაცვლის თანხმობით;

გ) პატარა ცალკეული ნაწყვეტების მოთავსება და თუნდაც მთლიანად გადაბეჭდვა, პატარა ლიტერატურული და სხვა ნაწარმოებისა, აგრეთვე მცირე რაოდენობის სურათებისა, რენტგენოგრამებისა და სხვა სამეცნიერო, პოლიტიკურ-განმანათლებელ და სასწავლო კრებულში და სხვა სამეცნიერო ნაწარმოებში, ხოლო ამ შემთხვევაში სავალდებულოა ავტორის დასახელება და იმ წყაროების აღნიშვნა, საიდანაც მასალაა ამოღებული;

დ) მოთავსება ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების სფეროში გამოცემული ზეპირი და წერილობითი ნაწარმოების ანგარიშებისა, რითიც გადმოიცემა ნაწარმოების შინაარსი დამოუკიდებელი ფორმით ან მოყვანილ იქნება ორიგინალი საჭიროებისადამიხედვით;

ე) საჯარო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის მოთავსება პერიოდულ გამოცემათა ანგარიშებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) პერიოდულ გამოცემაში გადაბეჭდვა გაზეთში მოთავსებული ცნობებისა და აგრეთვე ისეთი წერილებისა, რასაც ბელეტრისტული ხასიათი არა აქვს, არა უადრეს ამ ცნობების თუ წერილის გამოქვეყნების მეორე დღისა; ამასთანავე საჭიროებულია გადაბეჭდილი წერილის ავტორის და ან იმ წყაროს აღნიშვნა, საიდანაც ეს წერილი ამოღებულია;

ზ) სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისა, ნახატისა, ილუსტრაციისა, ფოტოგრაფიისა, ნახაზისა და სხვ. რეპროდუქციის გადაბეჭდვა პერიოდულ გამოცემაში იმ პირობების და წესის დაცვით, რაც დადგენილია წერილების გადაბეჭდვისათვის (ამა მუხლის „ვ“ პუნქტში);

თ) კომპოზიტორის მიერ თავისი მუსიკალური ნაწარმოებისათვის სხვისი ლიტერატურული ნაწარმოებიდან ამოღებული ტექსტის გამოყენება, უკეთუ ეს აკრძალული არ იქნება, რაც ამ ნაწარმოების ავტორის მიერ თავისი ნაწარმოების ყოველ ეკზემპლიარზე უნდა იყოს აღნიშნული;

ი) მე-9 მუხლით გათვალისწინებული სხვისი ნაწარმოების საჯაროდ შესრულება კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის დაწესებულებაში იმ პირობით, უკეთუ დამსწრეთ ფული არ გადახდებათ;

კ) გამოსახვა სამხატვრო ნაწარმოებისა საქანდაკო საშუალებით და წინაუკმო—საქანდაკო ნაწარმოებისა სამხატვრო საშუალებით;

ლ) ქუჩებში და მოედნებზე მოთავსებული მხატვრული ნაწარმოების გადაღება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საქანდაკო ნაწარმოები გადაიღება მექანიკურ-კონტაქტური საშუალებით;

მ) ყოველგვარი ნაწარმოების მოთავსება საჯაროო გამოფენაზე, ისეთი ნაწარმოების გარდა, რომლის საჯაროდ გამოფენაც აკრძალულია ავტორის მიერ;

ნ) შენობისა და ნაგებობის აგება ავტორის მიერ გამოქვეყნებული საარქიტექტურო, საინჟენერო და სხვა ტეხნიკური გეგმით, ნახაზით და ნახატით, უკეთუ ავტორს გამოქვეყნების დროს არ აღუნიშნავს, რომ ამ უფლებას იგი მარტო თავისთვის იტოვებს;

ო) სხვისი ნაწარმოებიდან ასლის გადაღება მარტოოდენ პირადი მოხმარებისათვის და იმ პირობით, რომ სამხატვრო ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების ასლზე მოთავსებულ არ იქნეს დედანის ავტორის ხელმონაწერი ან მონოგრამა; ამასთანავე საქანდაკო ნაწარმოებიდან ასეთი ასლის გადაღება მექანიკურ-კონტაკტური საშუალებით არ შეიძლება;

პ) სამხატვრო ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამოყენება საფაბრიკო-საქარხნო, შინა და სახელოსნო მრეწველობის ნაკეთობაში იმ პირობით კი, რომ ავტორს მიეცეს ჰონორარი იმ რაოდენობით და იმ წესით, რასაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ავტორი არ დასთანხმდება მოთხრობითი ნაწარმოების გადაკეთებაზე დრამატიულ ნაწარმოებად ან კინო-სცენარად და წინაუკმო, ან დრამატიული ნაწარმოების გადაკეთებაზე კინო-სცენარად და წინაუკმო (ამა მუხლის „ბ“ პუნქტი), სათანადო ნებართვა შეიძლება გასცეს საქართველოს სსრ, მოკავშირე აფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებმა იმისდამიხედვით თუ რომელი რესპუბლიკის თუ ოლქის ტერიტორიაზეა განზრახული გადაკეთებული ნაწარმოების გამოშვება; ამასთანავე ჰონორარის გადახდის წესს და მის როოდენობას ამ შემთხვევაში განსაზღვრავენ აღნიშნული განათლების სახალხო კომისარიატები კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა 2. იმ ნაწყვეტებისა და ნაწარმოების უკიდურეს ოდენობას, რომელთა გადაბეჭდვაც შეიძლება ამა მუხლის „გ“ პუნქტის წესით, განსაზღვრავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

უკეთუ გადაბეჭდვის დროს გადამტებული იქნება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნომრები, ავტორს ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს ჰონორარის მთელი გადაბეჭდილი მასალისათვის, ამასთანავე უკეთუ გადაბეჭდვა მოხდა ავტორის თანხმობის გარეშე, მას უფლება აქვს მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება საერთო საფუძველზე.

შენიშვნა 3. უფლება ჯილდოს მიღებისა მხატვრული თუ ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამოყენებისათვის საქარხნო-საფაბრიკო, შინა და სახელოსნო მრეწველობის ნაკეთობაში ამა მუხლის „პ“ პუნქტის თანახმად აქვს მხოლოდ აღნიშნული ნაწარმოების იმ ავტორს, რომელსაც ეს ნაწარმოები არ გაუტარებია რეგისტრაციაში სამრეწველო ნიმუშთა კანონის წესისამებრ და რომელსაც არა აქვს განსაკუთრებული უფლება ნაწარმოებზე აღნიშნული კანონის თანახმად. ავტორის ხსენებულ უფლებათა დარღვევა მოწესრიგდება სამრეწველო ნიმუშთა კანონის მიხედვით.

11. საავტორო უფლება, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილის გამონაკლისის გარდა, ეკუთვნის ავტორს სიკვდილამდე, ხოლო მის მემკვიდრეს —18 მუხლით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში.

12. საავტორო უფლების სარგებლობის ვადა ხორეოგრაფიულ და საპანტომიმო ნაწარმოებზე, კინემატოგრაფიულ სცენარსა და კინო-ლენტზე განისაზღვრება ათი წლით.

13. საავტორო უფლების სარგებლობის ვადა ფოტოგრაფიულ და ფოტოგრაფიისებური საშუალებით დამზადებულ ნაწარმოებზე განისაზღვრება ცალკე ნაწარმოებისათვის ხუთი წლით, ხოლო ნაწარმოებთა კრებულისათვის—ათი წლით.

იმისათვის, რომ ფოტოგრაფმა შეინარჩუნოს საავტორო უფლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე საჭიროა თვითეულ ეკზემპლიარზე აღინიშნოს: ფირმა ან ფოტოგრაფის სახელი, მისი გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამოშვების წელი.

14. ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემისა და აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონის გამომცემელს ეკუთვნის საავტორო უფლება ამ გამოცემებზე მთლიანად ათი წლის განმავლობაში მათი გამოშვების დროიდან.

ამ გამოცემათა თანაშრომელნი შეინარჩუნებენ საავტორო უფლებას თავის ცალკე ნაწარმოებზე, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. საავტორო უფლების ვადის გამოანგარიშებისათვის ყოველი ნაწარმოები გამოქვეყნებულად ჩაითვლება იმ წლის იანვრის 1-დან, რა წელსაც იგი პირველად იქნა კანონიერად გამოცემული სათანადო ტენნიკური საშუალებით.

ვადის გამოანგარიშებისათვის გამოცემას გაეთანაბრება: დრამატიული და მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოების საჯაროდ წარმოდგენა, მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულება, კინოლენტის საჯარო დემონსტრაცია, სახვითი ხელოვნების, ფოტოგრაფიის, აგრეთვე ფოტოგრაფიისებური საშუალებით მამზადებული ნაწარმოების საჯაროდ გამოფენა და საარქიტექტურო ნაწარმოების აგება.

შენიშვნა 1. კინოლენტის საჯარო დემონსტრაციად არ ჩაითვლება მისი საზოგადოებრივი ჩვენება, უკეთუ დამსწრეთ ფული არ გადახდებათ.

შენიშვნა 2. საავტორო უფლების ვადა კინო-სცენარზე გამოიანგარიშება ამა დებულების მე-15 მუხლის წესისაებრ, იმ წლის იანვრის 1-დან, რომელ წელსაც მოხდა აღნიშნული კინო-სცენარით დამზადებული კინოლენტის საჯარო დემონსტრაცია, უკეთუ ეს კინო-სცენარი მანამდე ბეჭდვითი ნაწარმოებში გამოქვეყნებული არ ყოფილა.

16. საავტორო უფლების ვადა ისეთ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე, რომელიც ცალკე ტომებად გამოდის, გამოიანგარიშება იმ წლის იანვრის 1-დან, რა წელსაც გამოშვებულ იქნა ლექსიკონის უკანასკნელი ტომი, უკეთუ ერთი ტომის გამოცემიდან შემდეგი ტომის გამოცემამდე გასული დრო ექვს თვეს არ აღემატება. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დრო ექვს თვეს აღემატება საავტორო უფლების ვადა გამოიანგარიშება იმავე წესით თვითეული ცალკე ტომის გამოშვების დროიდან.

საავტორო უფლება ისეთ პერიოდულ გამოცემაზე, რომელიც ცალკე გამოცემად ან წიგნაკებად გამოდის გამოიანგარეშება საერთო საფუძველზე, ე. ი. ცალ-ცალკე თვითეული გამოცემისა თუ წიგნაკისათვის.

შენიშვნა. წესი ნაწარმოების გამოშვების დროის რეგისტრაციისა, რაც აღნიშნულია ამა მუხლში, განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

17. ავტორს და მის მემკვიდრეს უფლება აქვთ რეგისტრაციაში გაატარონ თავისი ნაწარმოების გამოშვების დრო (გამოქვეყნების, პირველი საჯარო შესრულების, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების პირველად საჯარო გამოფენის და სხვ.) განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის სათანადო განცხადების წარდგენით და ამ განცხადების განსაკუთრებულ რეესტრში შეტანით.

რეგისტრაციის ორგანოთა უარი ნაწარმოების რეგისტრაციაში გატარებაზე არ ართმევს დაინტერესებულ პირთ უფლებას—ნაწარმოების გამოშვების დრო სხვა რაიმე საშუალებით დაადგინონ.

ნაწარმოების რეგისტრაცია, უკეთუ სასამართლო წესით სხვა რამ არ არის დამტკიცებული, წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს იმ მომენტის დასადგენად, რა მომენტიდანაც უნდა დაიწყოს საავტორო უფლების ვადის დენა, ხოლო იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს ვერ შეუშლის მესამე პირთ აღძრან დავა რეგისტრაციაში გატარებული ნაწარმოების საავტორო უფლების შესახებ.

18. საავტორო უფლება ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადადის ავტორის მემკვიდრეზე, რომელიც ამ უფლებას შეინარჩუნებს თუთხმეტი წლის განმავლობაში, დაწყებული ავტორის გარდაცვალების წლის იანვრის 1-დან, გარდა იმ შემთხვევებისა რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-12, 13 და 14 მუხლებით; ამ უკანასკნელ შემთხვევებში, საავტორო უფლება მემკვიდრეზე გადადის მხოლოდ იმ ვადით, რაც დარჩა ავტორის გარდაცვლების დღიდან კანონის ამ მუხლებით დაწესებული ვადის გასვლამდე.

ავტორის მემკვიდრეზე გადასული საავტორო უფლების ფულადი შეფასება არ შედის სამკვიდრო ქონების საერთო შეფასებაში მემკვიდრეობის წესით გადასული ქონების გადასახადის გამოანგარიშების დროს.

19. უკეთუ ავტორის სიკვდილის შემდეგ კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ აღმოჩნდება, საავტორო უფლება მოისპობა. ის ნაწარმოები, რომლის მიმართაც საავტორო უფლებამ თავისი მოქმედება შესწყვიტა, ზემოაღნიშნული წესის ძალით, ან საავტორო უფლების მოქმედების ვადა, რაც გათვალისწინებულია მე-12, 13, 14 და 18 მუხლში, უკვე გავიდა, შეიძლება იქნეს რეპროდუქტირებული, გამოცემული, გავრცელებული და შესრულებული ყველა პირის მიერ ამა დებულებით დადგენილი შეზღუდვის გარეშე.

20. საავტორო უფლება შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისებულ იქნეს საგამომცემლო ხელშეკრულებით, ანდერძით ან სხვა რაიმე კანონიერი საშუალებით.

ხელშეკრულება საავტორო უფლების დათმობის შესახებ ქმნილ უნდა იყოს წერილობით და მასში სისწორით უნდა აღინიშნოს საავტორო უფლების გამოყენების ხასიათი და პირობები.

უკეთუ ხელშეკრულებისათვის დადგენილი წერილობითი ფორმა დაცულ არ იქნა, მხარენი ჰკარგავენ უფლებას, თუ ვინმემ დავა განაცხადა, ხელშეკრულების არსებობის დასადასტურებლად დაემყარონ მოწმეთა ჩვენებას, მაგრამ ისინი არ ჰკარგავენ უფლებას მოიყვანონ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები.

შენიშვნა. წერილობითი ფორმა საავალდებულო არ არის ისეთი ნაწარმოების საავტორო უფლების გასხვისების ხელშეკრულებისათვის, რომელიც უნდა დაიბეჭდოს პერიოდულ გამოცემაში ან ენციკლოპედიურ ლექსიკონში.

21. საგამომცემლო ხელშეკრულების ძალით ავტორი უთმობს განსაზღვრული ვადით თავის განსაკუთრებულ უფლებას ობიექტიური ფორმით ჩამოყალიბებული ნაწარმოების გამოცემაზე, ხოლო გამომცემელი კისრულობს გამოსცეს ეს ნაწარმოები და მიიღოს მისგან დამოკიდებული ყველა ღონისძიება მისი გავრცელებისათვის.

საგამომცემლო ხელშეკრულების დადება შეიძლება ისეთ ნაწარმოებზედაც, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არ არის სათანადო ობიექტიური ფორმით ჩამოყალიბებული (სალიტერატურო შეკვეთა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ავტორს უფლება აქვს თავის ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემის დროს შეიტანოს ამ კრებულში ისეთი ნაწარმოებიც, რომლის გამოცემის უფლება მან უკვე სხვა პირს დაუთმო.

22. საგამომცემლო ხელშეკრულებაში სისწორით უნდა განისაზღვროს გასხვისებული საავტორო უფლების გამოყენების ხასიათი და პირობები, კერძოდ, უნდა აღინიშნოს გამოცემათა რაოდენობა, ამ გამოცემათა ტირაჟი, ნაწარმოების გამოქვეყნების ვადა, საავტორო ჰონორარის რაოდენობა და საგამომცემლო ხელშეკრულების ვადა; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს ყველა ის შეზღუდვა, რაც დადგენილია ამა დებულების შემდეგი მუხლებით.

უკეთუ საგამომცემლო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ არის გამომცემლობის უფლება ნაწარმოების ხელახლა გამოცემისა, გამომცემლობას მისი ხელახლა გამოცემა შეუძლიან მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მიიღებს ავტორის წერილობით თანხმობას თვითეული (მორიგი) განმეორებითი გამოცემისათვის.

23. საგამომცემლო ხელშეკრულება სალიტერატურო ნაწარმოების (მათ შორის სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაწარმოების) შესახებ, შეიძლება დადებულ იქნეს ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

ეს ვადა გამოიანგარიშება ხელშეკრულების დადების ან ხელნაწერის მიღების დღიდან, უკეთუ ეს ხელნაწერი უფრო გვიან იყო მიღებული, ან ხელნაწერის მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან, უკეთუ ხელნაწერი მიღებულ იქნა შეპირებული ვადის გადაცილებით.

აღნიშნული ვადა ორი ან მეტი ტომისაგან შემდგარი ნაწარმოებისათვის გამოიანგარიშება იმ დღიდან, როდესაც გამომცემლობას ჩაბარდა უკანასკნელი ტომის ხელნაწერი.

24. განსაზღვრული ტირაჟის დროს საავტორო ჰონორარი ლიტერატურული ნაწარმოების (სამეცნიერო, პუბლიცისტური, მხატვრული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, საბავშვო ლიტერატურის, კრიტიკის და თარგნილი მხატვრული ლიტერატურის) გამოცემისა და გავრცელების უფლების გასხვისებისათვის გამომცემლობის სასარგებლოდ—არ შეიძლება იყოს იმ უკიდურეს განაკვეთზე ნაკლები, რასაც დაიწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

25. გამომცემელი ვალდებულია გამოუშვას ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე; ამასთანავე ეს ვადა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის (მათ შორის სამეცნიერო და პუბლიცისტურისათვის) არ შეიძლება აღემატებოდეს შემდეგ ვადებს:

ა) პერიოდული გამოცემისათვის და აგრეთვე ისეთი ნაწარმოებისათვის, რომელიც შეიცავს ხუთამდე ნაბეჭდ ფურცელს,—ექვს თვეს;

ბ) სხვა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, რომელიც შეიცავს არა უმეტეს ათი ნაბეჭდი ფურცლისა—ერთ წელს;

გ) ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, რომლებზედაც ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტი არა ვრცელდება—ორ წელს.

ეს ვადები გამოიანგარიშება ხელშეკრულების დადების ან ხელნაწერის მიღების დღიდან, უკეთუ ხელნაწერი უფრო გვიან იყო მიღებული, ან ხელნაწერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან, უკეთუ ხელნაწერი მიღებულ იქნა შეპირებული ვადის გადაცილებით.

26. უკეთუ ნაწარმოები არ გამოიცა ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ ვადაზე, გამომცემლობა ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუხადოს ავტორს ხელშეკრულებით შეპირებული მთელი ჰონორარი იმ ხელნაწერის მოცულობის მიხედვით, რაც გამომცემლობის მიერ დასაბეჭდათ მოწოდებულია.

25 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გამომცემლობას ეძლევა შეღავათიანი ვადა, რომელიც უდრის ხსენებული მუხლით გათვალისწინებული თვითეული ვადის ნახევარს. აღნიშნული შეღავათიანი ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულება, უკეთუ ნაწარმოები გამოშვებულ არ იქნა, მოისპობა ავტორის ცალმხრივი განცხადებით და მას დაუყოვნებლივ დაებრუნება თავისი ხელნაწერი.

27. ამა დებულების 22, 26 და 41 მუხლში აღნიშნული წესები ვრცელდება ისეთ საგამომცემლო ხელშეკრულებაზედაც, რომლის საგანიც არის მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოები, სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოები და აგრეთვე ფოტოგრაფიისებური საშუალებით დამზადებული ნაწარმოები.

28. საგამომცემლო ხელშეკრულება ლიტერატურული (მათ შორის სამეცნიერო და პუბლიცისტური), მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატიული ნაწარმოების შესახებ დაიდება ტიპიური ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც დამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ეკონომიკის სახალხო კომისარიატის რწმენებულის (საქართველოში) სამმართველოსთან და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

საგამომცემლო ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს ისეთ პირობას, რაც არ არის გათვალისწინებული ტიპიური ხელშეკრულებით ან რაც მას არ მიუდგება; ხოლო ისეთი პირობა და აღნიშვნა, რაც მიმართული იქნება ავტორის მდგომარეობის გაუარესებისაკენ ტიპიური ხელშეკრულების პირობებთან შედარებით, ძალამოკლებულად ჩაითვლება; ასეთ შემთხვევაში საგამომცემლო ხელშეკრულებით დადგენილი მხარეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ტიპიური ხელშეკრულების სათანადო მუხლების მიხედვით.

29. გამოუცემელი დრამატიული, მუსიკალურ-დრამატიული, მუსიკალური, სპანტანმიმო, ხორეოგრაფიული ან კინომატოგრაფიული ნაწარმოების დადგმაზე და საჯაროდ შესრულებაზე საავტორო უფლების გასხვისება შეიძლება მხოლოდ დადგმის ხელშეკრილებით.

დადგმის ხელშეკრულებად ჩაითვლება ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ავტორი უთმობს დამდგმელს (სანახაობათა საწარმოს) უფლებას თავისი ნაწარმოების საჯაროდ შესრულებაზე, ხოლო დამდგმელი კისრულობს განახორციელოს ამ ნაწარმოების დადგმა (მისი საჯაროდ შესრულება) განსაზღვრულ ვადაზე.

დადგმის ხელშეკრულების დადება შეიძლება ისეთ ნაწარმოებზედაც, რომელიც ხელშეკრულების დადების დღეს ობიექტიური ფორმით ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ავტორის მიერ სანახაობათა საწარმოსათვის გამოუცემელი ნაწარმოების დადგმის განსაკუთრებული უფლების გადაცემა, არ ართმევს ავტორს უფლებას—იგივე ნაწარმოები გადასცეს დასადგმელად მუშაობა და წითელარმიელთა კლუბებს.

30. დადგმის ხელშეკრულებაში სისწორით უნდა აღინიშნოს გასხვისებული უფლების გამოყენების ხასიათი, ფარგლები და პირობები, კერძოდ: ამ უფლების გამოყენების ტერიტორიის ფარგლები, ხელშეკრულების ვადა, პირველი საჯარო შესრულების მოწყობის ვადა, ავტორის გასამჯელოს რაოდენობა და ის გარემობა, თუ რამდენჯერ უნდა იქნეს ნაწარმოები საჯაროდ შესრულებული.

31. დადგმის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ვადით არა უმეტეს სამი წლისა; ეს ვადა გამოიანგარიშება იმ დღიდან, რა დღესაც ნაწარმოები, ხელშეკრულების მიხედვით, პირველად იქნება საჯაროდ შესრულებული.

32. სანახაობათა საწარმო ვალდებულია მოაწყოს ნაწარმოების დადგმა არა უგვიანეს ქვემოჩამოთვლილი ვადების გასვლისა, რომელი ვადებიც გამოიანგარიშება იმ დღიდან, რა დღესაც ავტორი, აღნიშნულ საწარმოს ჩააბარებს ნაწარმოების ხელნაწერს საბოლოო, დასადგმელად ვარგისი ფორმით, სახელდობრ:

არა უგვიანეს ორი წლისა—მუსიკალურ-დრამატიული (ოპერა, ოპერეტი) და ხორეოგრაფიული ნაწარმოებისათვის, აგრეთვე შეძენილი კინოსცენარით დამზადებული კინომატოგრაფიული ნაწარმოებისათვის და არა უგვიანეს ერთი წლისა—ყველა სხვა ნაწარმოებისათვის.

33. დადგმის ერთი ხელშეკრულებით არ შეიძლება ნაწარმოები 150-ზე მეტჯერ იყოს საჯაროდ შესრულებული. დადგმის ხელშეკრულების დადება გამოუცემელი ნაწარმოების ავტორის მიერ სანახაობათა ერთ რომელსამე საწარმოსთან, არ ართმევს მას უფლებას დასდვას ხელშეკრულება იმავე ნაწარმოების დადგმის შესახებ სანახაობათა სხვა საწარმოსთან, უკეთუ ამ ნაწარმოების დადგმა წინათ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელდება.

შენიშვნა. ნაწარმოების შესრულებათა ამა მუხლით დაწესებულ საზღვრით რაოდენობაში არ ჩაითვლება საჯარო გენერალური რეპეტიცია და ეგრედწოდებული, საზოგადოებრივი ჩვენება, რაც დამსწრეთათვის ფასის გადაუხდევინებლად სწარმოებს.

34. სანახაობათა საწარმოს უფლება აქვს მოაწყოს ნაწარმოების საჯაროდ შესრულება იმ რაოდენობაზე ნაკლები რიცხვით, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია და აგრეთვე სრულებით მოსხნას იგი რეპერტუარიდან, ხოლო იგი ვალდებულია დაიცვას საავტორო ჰონორარის გადახდის წესი (მუხ. 37).

35. ამა დებულების 29 მუხლის წესებმა გამონაკლისად, სცენარის შემძენი ვალდებული არ არის დასდგას სურათი, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამა დებულების 30 მუხლის წესები ხელშეკრულებაში საჯარო შესრულებათა რიცხვის აღნიშვნის შესახებ და აგრეთვე 31, 32 და 33 მუხლით დაწესებული შეზღუდვა არ გავრცელდება კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმის ხელშეკრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. დადგმის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარი ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისათვის არ შეიძლება საავტორო ჰონორარის იმ ნორმაზე ნაკლები იყოს, რაც განსაზღვრულია გამოცემულ ნაწარმოებათა საჯაროდ შესრულებისათვის დადგენილი განაკვეთით (მუხ. 9).

37. უკეთუ ნაწარმოები არ იქნა დადგმული და საჯაროდ შესრულებული დადგმის ხელშეკრულებით შეპირებულ ან კანონით დაწესებულ ვადაზე, ხელშეკრულება მოიშლება ავტორის განცხადებით და სანახაობათა საწარმო ვალდებულია ავტორს სრულიად გადაუხადოს ხელშეკრულებით შეპირებული ჰონორარი.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საავტორო ჰონორარის გადახდა თვითეულ სპექტაკლისათვის ცალკე და შეპირებული არ არის ამ ჰონორარის გარანტირებული მინიმუმი, — ავტორის გასამრჯელო განისაზღვრება თანახმად იმ ინსტრუქციისა, რასაც ამ საგანზე ცალკე გამოსცემს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. უკეთუ დადგმა კინემოტოგრაფიული ნაწარმოებისა შეძენილი კინო-სცენარი ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადაზე არ დაიწყება—ავტორს ამ მიზეზით ხელშეკრულებით მოშლის დროს უფლება აქვს მიიღოს მხოლოდ ხელშეკრულებით შეპირებული ერთდროული გასამრჯელო.

38. უკეთუ დრამატიული ან სხვა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი უფლებას მისცემს კინო-წარმოების საწარმოს—მისი ნაწარმოები კინო-სცენარად გადაკეთოს, ასეთი ლიტერატურული (დრამატიული) ნაწარმოების გამოყენების უფლება არ შეიძლება საწარმოს სამ წელზე მეტი ხნით მიეცეს.

აღნიშნული გადაკეთების დროს კინო-წარმოების საწარმოს არა აქვს უფლება ავტორის ნებადაურთველად რაიმე არსებითი გადახრა და ცვლილება შეიტანოს გამოსაყენებელი ნაწარმოების ფაბულაში.

39. ისეთი კინო-სცენარის ავტორს, რომლის დადგმაც ხელშეკრულებით დაეთმო კინო- წარმოების საწარმოს, უფლება აქვს გადაკეთოს ეს სცენარი სხვა კინემატოგრაფიული ნაწარმოების დასადგმელად. ხოლო ავტორს არა აქვს უფლება გამოსცეს გადაკეთებული სცენარი მანამდე, ვიდრე გამოშვებულ იქნებოდეს დათმობილი კინო-სცენარით დადგმული კინო-ლენტი ან გაივლიდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამ ავტო-ლენტის გამოშვებისა.

40. 29-30 მუხლებში აღნიშნული წესების დაცვა უკვე დამოცემული ნაწარმოების დადგმის დროს საავლდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

გამოუცემელი ნაწარმოები შეიძლება შესრულებულ იქნეს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებაში (10 მუხ. „ი“ 3.) მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ საამისოდ დადებულ იქნება დადგმის ხელშეკრულება.

41. საგამომცემლო ან დადგმის ხელშეკრულებით შეძენილი უფლება-მოვალეობის სხვა საწარმოს თუ პირისათვის დათმობა შეიძლება მხოლოდ ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, ხოლო უკეთუ ავტორი გარდაიცვალა,—მისი მემკვიდრის—წერილობითი თანხმობით.

42. გამომცემელს თუ დამდგმელს უფლება აქვს ავტორის სიცოცხლეში, თავისი შეხედულებით, ავტორის თანხმობის გარეშე, შეიტანოს რაიმე დამატება, შემოკლება ან ცვლილება, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სათაურში, ან და შესცვალოს ნაწარმოებზე ავტორის სახელის აღნიშვნა. გამომცემელს არა აქვს აგრეთვე უფლება ავტორის სიცოცხლეში, მისი თანხმობის გარეშე, დაურთოს ნაწარმოებს ილუსტრაციები.

43. ავტორის სიკვდილის შემდეგ და საავტორო უფლების მოქმედების ვადის გასვლამდე გამომცემელს თუ დამდგმელს უფლება არ აქვს ავტორის მემკვიდრეთა თანხმობის გარეშე, შეიტანოს რაიმე დამატება, შემოკლება ან ცვლილება თვით ნაწარმოებში, მის სათაურში, ან ავტორის სახელის აღნიშვნაში და აგრეთვე დაურთოს ნაწარმოებს ილუსტრაციები.

უკეთუ აღნიშნული საკითხების გამო ავტორის მემკვიდრეების თანხმობა არ არის, სათანადო ნებართვა გამომცემლის თუ დამდგმელის მიერ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს საქართველოს სსრ, აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებისაგან—კუთვნილებისამებრ.

44. საავტორო უფლების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ამა დებულებას 42 და 43 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებანი შეიძლება შეტანილ იქნეს გამომცემლის თუ დამდგმელის მიერ საქართველოს სსრ, აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების სახალხო კომისარიატების ნებართვით, კუთვნილებისამებრ.

45. საავტორო უფლების დარღვევა გამოიწვევს დამნაშავეებისათვის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის 196 მუხლისამებრ და აგრეთვე ვალდებულებას, რათა ანაზღაურებულ იქნეს მიყენებული ქონებრივი ზიანი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (მუხ. 403) დადგენილი წესების თანახმად.

ხოლო ავტორს უფლება აქვს მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნაცვლად, მოთხოვოს მისი უფლების დამრღვევეს საავტორო ჰონორარის გადახდა ამა დებულების მე-9 მუხლის წესით განსაზღვრული განაკვეთის მიხედვით. კერძოდ, ეს უფლება ავტორს ეკუთვნის იმ შემთხვევაშიაც; როდესაც საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ზარალის რაოდენობა არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს.

46. საავტორო უფლება დაცულ უნდა იქნეს დარღვევისაგან იმ შემთხვევაშიაც, როდესაც დარღვევას ავტორისათვის რაიმე განსაზღვრული ქონებრივი ზიანი არ მიუყენებია.

ზარალის ანაზღაურების გარდა ავტორს უფლება აქვს მოთხოვოს დამრღვევს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც აუცილებელია მისი დარღვეული კანონიერი ინტერესების აღსადგენად.

47. საავტორო უფლება ყოველ ნაწარმოებზე, რაც პირველად გამოიცა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ან რაც ამ ტერიტორიაზე არის ხელნაწერის და ესკიზის სახით ან სხვა რაიმე ობიექტიური ფორმით, შეიძლება გამოსყიდულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს იძულებითი წესით სსრ კავშირის მთავრობისა ა/კ. სუსრ მთავრობისა ან საქართველოს სსრ მთავრობის მიერ.

ასეთ შემთხვევაში ავტორის ან მისი უფლების მენაცვლეთათვის მისაცემი გასამრჯელო განისაზღვრება ზემოაღნიშნულ მთავრობათა შორის იმ მთავრობის დადგენილებით, რომლის განკარგულებითაც საავტორო უფლების გამოსყიდვა უნდა მოხდეს.

---

201. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. დ ა ს.კ.ს.

სამაზრო სასამართლოების გაუქმებისა და სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების ქვემდებარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს 1929 წლ. ოქტომბრის 1-დან ტფილისის და ქუთაისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოები, აგრეთვე გორისა და კახეთის სამაზრო სასამართლოები.

2. ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები შეიცვლებოდეს, დაწესებულ იქნეს, სამაზრო სასამართლოების გაუქმებისათანავე, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებისათვის შემდეგი ქვემდებარეობა:

ა. სისხლის სამართლის საქმეებიდან უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება:

ა) სისხ. სამ. კოდ. 58^{2}—58^{14}, 58^{16}, 58^{17}—58^{21}, 58^{22}, 58^{24}—58^{27}, 78 მუხლის მე-2 ნაწ., 118 მუხლის 1-ლი ნაწ., 120, 138 მუხ. და 181 მუხლის მე-3 ნაწ. გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეები;

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა, სახალხო კომისრებისა, მათთან მდგომარეობით გათანასწორებული პირებისა და მათივე მოადგილეებისა, რესპუბლიკის პროკურორისა და მისი თანაშემწეებისა, სახალხო კომისარიატთა კოლეგიის წევრებისა, უზენაეს სასამართლოს წევრებისა, საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრებისა და საოლქო (სამაზრო) პროკურორების მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეები და

გ) ის საქმეები, რაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, უზენაეს სასამართლოს პლენუმის ან რესპუბლიკის პროკურორის დადგენილებით გადაეცემა უზენაეს სასამართლოს.

სისხ. სამ. კოდ. 139, 140 და 141 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეები განიხილება შრომის საქმეთა სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიის მიერ, ხოლო იქ, სადაც ასეთი სესსია მოწყობილი არ არის,—სახალხო სასამართლოს მიერ.

ყველა დანარჩენი საქმე ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და, ვიდრე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შემოიღებოდეს, განიხილება ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოში იმ წესით, რაც მომქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია სახალხო სასამართლოებისათვის.

ბ. სამოქალაქო სამართლის საქმეებიდან უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება საქმე:

ა) იმ სარჩელის გამო, რომლის ფასიც 10.000 მანეთს აღემატება, გარდა საალიმენტო სარჩელისა, საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელისა, ისეთი სარჩელისა, რაც ემყარება სახელმწიფო სანოტარო დებულების 46 მუხლში ჩამოთვლილ დოკუმენტებს, აგრეთვე სარჩელისა დაშავებით ან სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ; ყველა ეს სარჩელი, იმის მიუხედავად, თუ რა ფასისაა იგი და ვის წინააღმდეგ არის აღძრული, ექვემდებარება სახალხო სასამართლოს;

ბ) ისეთი სარჩელის გამო, რომელიც აღძრულია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის წინააღმდეგ იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც მიყენებულ იქნა თანამდებობის პირის უკანონო ან არასწორე სამსახურებრივი მოქმედებით, აგრეთვე არასისწორით ჩამორთმეული და გასხვისებული ქონების დაბრუნების შესახებ;

გ) ისეთი სარჩელის გამო, რაც აღძრულია სახალხო კომისარიატის ან მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულების წინააღმდეგ, სოოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და საოლქო ან სამაზრო ქალაქის საქალაქო საბჭოს წინააღმდეგ;

დ) ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის გამო, გარდა ისეთი სარჩელისა, რომლის ფასიც 10.000 მანეთს არ აღემატება და რომელიც გამომდინარეობს მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულობიდან ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის ხელშეკრულობიდან; საავტორო უფლებიდან გამომდინარე სარჩელის გამო, გარდა ისეთი სარჩელისა, რომლის ფასიც 10.000 მანეთს არ აღემატება და შეეხება ავტორის საზღაურს მისი ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისათვის და, ბოლოს, ისეთი სარჩელის გამო რაც გამომდინარეობს სამრეწველო გამონაგონის უფლებიდან, სასაქონლო და საფაბრიკო ნიშნის უფლებიდან, მოდელისა და ფირმის უფლებიდან;

ე) საქმე სამხედრო სამსახურიდან, რელიგიური რწმენის გამო, განთავისუფლების შესახებ;

ვ) საქმე ნოტარიუსის, ან ნოტარიუსის მოვალეობის აღმასრულებელი სახალხო მოსამართლის მოქმედებაზე აღძრული საჩივრის გამო;

გ) საქმე კოოპერატიული ორგანიზაციების არაშემძლეობის შესახებ, გარდა პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციებისა, უკეთუ ეს უკანასკნელნი დამოუკიდებელი წევრის სახით არ შედიან ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში.

ყველა სხვა საქმე, რაც აღიძვრის უფლებრივი ურთიერთობის სფეროში, ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და განიხილება მის მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით სახალხო სასამართლოებისათვის დადგენილი წესით.

შენიშვნა. ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული სარჩელი ექვემდებარება უზენაეს სასამართლოს იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი აღძრულია ამ პუნქტში ჩამოთვლილ ორგანოების წინააღმდეგ და არა მათი გაწყობილებებისა, ნაწილებისა, ან დამოუკიდებელი დაწესებულებების წინააღმ.ეიგ.

3. უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმს და რესპუბლიკის პროკურორს უფლება აქვთ გადასცენ სახალხო სასამართლოს: ა) ამა დადგენილების მე-2 მუხ. ლიტ. ა-ის „ი„ პუნქტში აღნიშნულ საქმეთა შორის ყოველი სისხლის სამართლის საქმე ან საქმეთა კატეგორია, უკეთუ ეს საქმეები რთული არ არის ან უკეთუ მათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვთ, იმ დანაშაულთა საქმეების გამოკლებეთ, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდექსის 58^{2}—58^{14} მუხ., 58^{16} მუხ. 1-ლ ნაწ., 58^{17}, 58^{17}ა, 58^{17}ბ, 58^{21} და 58^{22} მუხლებში; ბ) ყოველი სამოქალაქო სამართლის საქმე ან სამოქალაქო სამართლის საქმეთა კატეგორია იმ საქმეთა შორის, რაც, ამა დადგენილების იმავე მე-2 მუხ. ბ ლიტ. „ა“ პუნქტის თანახმად, ექვემდებარება უზენაეს სასამართლოს.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს უფლება აქვს აგრეთვე ჩამოართვას სახალხო სასამართლოს და გადასცეს განსახილველად უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ყოველი საქმე, რაც სახალხო სასამართლოს ექვემდებარება.

4. სამაზრო სასამართლოებში საქმეების დანიშვნა განსახილველად შეიძლება მხოლოდ 1929 წ. სექტემბრის 20-მდე, ხოლო 1929 წ. სექტემბრის 20-ის შემდეგ სამაზრო სასამართლოები უნდა შეუდგნენ საქმეების გადაცემას სათანადო სამართლოებში ამა დადგენილებით დაწესებული ქვემდებარეობისამებრ.

5. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახ. კომისარიატს: ა) გამოსცეს ერთი კვირის ვადაზე დაწვრილებითი ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს და წარადგინოს ორი კვირის ვადაზე საკანონმდებლო ორგანოებში კანონპროექტები იმ ცვლილებათა შესახებ, რაც ამა დადგენილების მიხედვით შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს წყობილების დებულებაში და სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის **მაგ. თ. ოდენტა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. **დ. ჭუჩულორია.**

1929 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

202. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. ბინის ქირას საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აწესებენ საქალაქო საბჭოები, ხოლო იმ ადგილებში, სადაც საქალაქო საბჭოები მოწყობილი არ არის,—სათანადო ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები ამა დადგენილების შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე.

2. ყველა ის პირი, ვისაც საცხოვრებელი სადგომი უპირავს ისეთ ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლში, რომლის ექსპლოატაციასაც ეწევა როგორც თვით უწყება და ადგილობრივი საბჭო უშუალოდ, ისე საბინაო-სამეურნო კოოპერატიული ამხანაგობა ან კერძო ფიზიკური და იურიდიული პირი იჯარის საფუძველზე, აგრეთვე—კერძო მფლობელობის სახლში—მოვალეა გადაუხადოს სახლის სამეურნეოს ბინის ქირა გამოყენებული საცხოვრებლად ვარგისი სივრცისათვის სათანადო საქალაქო საბჭოს ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით (მუხ. 1) განსაზღვრული ტარიფის თანახმად.

შენიშვნა 1. ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება იმ სადგომზე, რაც უპირავს სასეზონოდ საკურორტო და საანგარაკო ადგილას მისულ პირს, სასტუმროზე და გასაქირავებელ მებელიან ოთახებზე—აგრეთვე აღნაგობის უფლების ხელშეკრულების თანახმად ახლად აშენებულ, აღდგენილ ან დამთავრებულ სახლზე.

შენიშვნა 2. ბინის ქირა, სათანადო საქალაქო საბჭოს თუ სათემო საბჭოს ნებართვით, საცხოვრებლად დაქირავილი დარაბისათვის გადახდილ უნდა იქნეს ამა დადგენილებაში აღნიშნული წესების მიხედვით.

3. ბინის ქირა გამოიანგარიშება მხოლოდ საცხოვრებლად ვარგისი სივრცის მიხედვით. ტალანი, წინა მისავალი ოთახი, აბაზანა, სამზარეულო, საპირფარეშო, გალერეა, საკუნძო, სარდაფი და სხვა სამმსახურეო ადგილი იმ საცხოვრებლად ვარგის სივრცეში არ შედის, რისთვისაც ქირა უნდა იქნეს გადახდილი.

4. ბინის ქირა გამოიანგარიშება საცხოვრებლად ვარგისი სივრცის თვითეულ კვადრატიულ მეტრზე თვიურად.

5. მუშა-მოსამსახურეთა ბინის ქირის განსაზღვრისათვის, მათი სამუშაო ხელფასის რაოდენობის მიხედვით დაწესებულია გადამხდელთა შემდეგი კატეგორიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც სამუშაო ხელფასს იღებს არა უმეტეს	20	მანეთისა.	
„ „ „ „ „ „	21	მან.-დან	30 მან.-მდე.
„ „ „ „ „ „	31	„	40 „
„ „ „ „ „ „	41	„	50 „
„ „ „ „ „ „	51	„	60 „
„ „ „ „ „ „	61	„	70 „
„ „ „ „ „ „	71	„	80 „
„ „ „ „ „ „	81	„	90 „
„ „ „ „ „ „	91	„	100 „
„ „ „ „ „ „	101	„	110 „
„ „ „ „ „ „	111	„	124 „
„ „ „ „ „ „	125	„	145 „
„ „ „ „ „ „	146	„	და მეტს.

შენიშვნა. სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების დროს კაპიკები სათვალავში არ მიიღება.

ამა დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნული გადამხდელთა თვითეული კატეგორიისათვის ბინის ქირის განაკვეთი განსაზღვრულ უნდა იქნეს შემდეგ საფუძვლებზე.

ა) იმ მუშა-მოსამსახურესათვის, რომელსაც თვეში აქვს სამუშაო ხელფასი 126 მანეთიდან 145 მანეთამდე (ამიანად), ძირითადი განაკვეთი ერთეულზე, ე.ი. საცხოვრებლად ვარგისი სივრცის ერთ კვადრატიულ მეტრზე, დაწესდება თვეში (საბინაო ნიხრი):

ქალ. ტფილისში . . . . . 40 კაპ.
ქ. ქ. ბათომსა და სოხუმში . . . . 38 კაპ.
ქ. ქ. ქუთაისსა და ფოთში . . . . 36 კაპ.

დანარჩენი ქალაქებისათვის და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისათვის ბინის ნიხრს დაწესებენ 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანონება; ამასთანავე ძირითადი განაკვეთი 1 კვად. მეტრზე არ შეიძლება იყოს 26 კაპ. ნაკლები;

ბ) იმ მუშა-მოსამსახურისათვის, რომელიც თვეში იღებს 20 მანეთამდე (ამიანად), ბინის ქირის განაკვეთი საცხოვრებელი სივრცის 1 კვად. მეტრზე განისაზღვრება 5,5 კაპ. ყველა ქალაქში;

გ) იმ მუშა-მოსამსახურისათვის, რომელსაც თვეში აქვს სამუშაო ხელფასი 21 მანეთიდან 30 მანეთამდე (ამიანად), ბინის ქირის განაკვეთი საცხოვრებელი სივრცის 1 კვად. მეტრზე დაწესდება ტფილისში-10 კაპ. ხოლო სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—8 კაპ..

დ) იმ მუშა-მოსამსახურისათვის, რომელსაც თვეში აქვს სამუშაო ხელფასი 31 მანეთიდან 125 მანეთამდე, დაწესდება საბინაო ქირის ძირითადი განაკვეთის (მე-6 მუხ. „ა“ ლიტ.) მონაკლები სამუშაო ხელფასის რაოდენობის მიხედვით, იმ ანგარიშით, რომ მონაკლების რაოდენობა დიდდებოდეს სამუშაო ხელფასის რაოდენობის შემცირების კვალობაზე;

ე) იმ მუშა-მოსამსახურისათვის, რომელიც თვეში სამუშაო ხელფასს იღებს დაწყებული 145 მანეთიდან და მეტს, ბინის ქირის განაკვეთი თანდათან დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება იმ ანგარიშით, რომ როდესაც სამუშაო ხელფასი 275 მან. უდრის თვიურად—ბინის ქირის განაკვეთი თვითეულ კვადრ. მეტრზე არ აღემატებოდეს 69 კაპ. ყველა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს; როდესაც სამუშაო ხელფასი 275 მან. აღემატება—ბინის ქირის განაკვეთი თვითეულ 25 მანეთზე მუშა-მოსამსახურისათვის დიდდება 5,5 კაპიკით საცხოვრებელი სივრცის კვადრატულ მეტრზე, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს თვეში 1 მან. და 32 კაპ. 1 კვადრ. მეტრზე.

7. მარტოხელა მუშას (დღიურად მომუშავე, ბინაზე მომუშავე, მუსიკოსი, კერძო მასწავლებელი და სხვ.), რომელსაც მუდმივი სამუშაო საშოვარი არა აქვს, ბინის ქირა გადაუხდება შემდეგი რაოდენობით:

ა) მას, ვინც პროფესიონალური კავშირის წევრია, სათანადო მუშა-მოსამსახურეების ტარიფით და იმ სამუშაო საშოვარის მიხედვით, რაც დადასტურებულ იქნება პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ;

ბ) მას, ვინც პროფესიონალური კავშირის წევრი არ არის,—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ 22 კაპიკისა და არა უმეტეს 54 კაპ. 1 კვად. მეტრზე თვიურად ტფილისში და არა ნაკლებ 20 კაპ. და არა უმეტეს 50 კაპ. 1 კვად. მეტრზე—სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

8. იმ პირისათვის, რომელიც იღებს პენსიას თუ დახმარებას სოციალური დაზღვევისა ან სოციალური უზრუნველყოფის წესით არა უმეტეს 20 მანეთისა თვეში, პროფესიონალური კავშირის უმუშევარი წევრისათვის ან იმისათვის, ვისაც უფლება აქვს დახმარება მიიღოს უმუშევრობის გამო, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული წითელარმიელის ოჯახისათვის, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო არა აქვს, და აგრეთვე სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლისათვის, რომელიც იღებს სახელმწიფო სტიპენდიას ან განთავისუფლებულია სწავლის ფულისაგან,—ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება ამა დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული ტარიფით.

შენიშვნა 1. ის მოსწავლე, რომელიც სტიპენდიას არ იღებს, ან რომელიც განთავისუფლებული არ არის სწავლის ფულისაგან, არ იმყოფება სხვის რჩენაზე და ცალკე სცხოვრობს, ბინის ქირას გადაიხდის საცხოვრებლად ვარგისი სივრცის 1 კვად. მეტრზე 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანოების მიერ დადგენილი ტარიფის მიხედვით, ხოლო არა უმეტეს 20 კაპიკისა თვიურად 1 კვად. მეტრზე ტფილისში და არა უმეტეს 15 კაპიკისა—დანარჩენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც სტიპენდიას იღებს სახელმწიფო დაწესებულებისაგან და საწარმოსაგან (კონტრაქტაციის წესით), ბინის ქირას გადაიხდის მუშა-მოსამსახურეების თანაბრად თავისი სტიპენდიის რაოდენობის ანგარიშით.

სამსახურში მყოფი მოსწავლე ბინის ქირას გადაიხდის როგორც მუშა-მოსამსახურე, თავისი სამუშაო ხელფასის ანგარიშით, ხოლო სხვის რჩენაზე მყოფი მოსწავლე—მე-15 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული წითელარმიელის ოჯახი, 1-ლ მუხ. გათვალისწინებული ორგანოების დადგენილებით, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მის მიერ საბინაო-სასანიტარო ნორმის (მუხ. 20) ფარგალში დაჭერილი საცხოვრებლად ვარგისი სივრცის სასყიდლისაგან.

9. სახელმწიფო პენსიონერისათვის და იმ პირისათვის, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფაზე ან სოციალურ დაზღვევაზეა და თვეში პენსიას ან დახმარებას 20 მან. მეტს იღებს,—ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მინაღები დახამარებისა და პენსიის მიხედვით იმავე საფუძველზე, როგორც მუშა-მოსამსახურეებისათვის.

10. იმ შინამრეწველისა და ხელოსნისათვის, რომელსაც დაქირავებული მუშა არა ჰყავს, აგრეთვე იმისათვის, ვისაც მხოლოდ ერთი მუშა ჰყავს ან ორი შეგირდი, ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის მიხედვით, 22 კაპიკიდან 1 მან. და 10 კაპეიკამდე 1 კვად. მეტრზე—ტფილისში და 66 კაპიკამდე 1 კვად. მეტრზე—სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

11. იმ შინამრეწველისა და ხელოსნისათვის, რომელსაც ორი და მეტი დაქირავებული მუშა ჰყავს ან სამი და მეტი შეგირდი, ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის მიხედვით შემდეგი რაოდენობით: 88 კაპეიკიდან 1 მან. 98 კაპიკამდე 1 კვად მეტრზე—ტფილისში და 1 მან. და 32 კაპიკამდე—სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

12. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობისა (არტელის) და წესდებიანი შრომითი არტელის წევრისათვის ბინის ქირა დაწესდება ამა დადგენილების მე-10 მუხლში აღნიშნულ საფუძველზე.

შენიშვნა 1. სათანადო მაღლა მდგომ კოოპერატიულ შენაერთში შემავალი და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შეკვეთით მომუშავე არტელის წევრი, რომელიც თავისი მუშაობისათვის განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებს და არტელის მოგებაში მონაწილე არ არის, მის მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სადგომის სასყიდელს გადაიხდის მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე (მუხ. 5 და 6).

შენიშვნა 2. სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი წარმოებითი არტელის წევრი, რომელიც საერთო სახელოსნოში მუშაობს და თავისი მუშაობისათვის განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებს,—მის მიერ დაჭერილი სადგომის ქირას გადაიხდის მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე (მუხ. 5 და 6).

13. თავისუფალი პროფესიის პირისათვის ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის მიხედვით, რაც გამორკვეულ იქნა წინა წელში საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების დროს, ხოლო არა ნაკლებ საბინაო ნორმისა (მუხ. 6, ლიტ. „ა“) და არა უმეტეს 1 მან. და 98 კაპიკისა საცხოვრებელი სივრცის 1 კვად. მეტრზე თვიურად—ტფილისში და არა უმეტეს 1 მან. და 32 კაპ. 1 კვად. მეტრზე—სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

შენიშვნა 1. უკეთუ თავისუფალი პროფესიის პირის შემოსავლის წყარო მხოლოდ დაქირავებით მუშაობაა, ან უკეთუ თავისუფალი პროფესიის პირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამსახურის გარდა, აქვს გარეშე საშოვარი და მისი თვიური ერთობილი შემოსავალი სახელმწიფო სამსახურისა და გარეშე საშოვრისა წინა საგადასახადო წელს 400 მანეთს არ აღემატება,—იგი ბინის ქირას გადაიხდის იმ განაკვეთით და იმ საფუძველზე, რაც დადგენილია მუშა-მოსამსახურეებისათვის; ამასთანავე, ბინის ქირა გამოიანგარიშება იმ თანხის მიხედვით, რაც შესდგება ერთობილად—მიმდინარე თვეში (როცა ქირა უნდა იქნეს გადახდილი) მიღებული სამუშაო ხელფასისაგან და თავისუფალი პროფესიის იმ საშუალო თვიური შემოსავლისაგან, რაც გამოიკვეთა წინა საგადასახადო წელს საშემოსავლო გადასასახადით დაბეგვრისას.

შენიშვნა. 2. სამეცნიერო დარგში მომუშავეს, ლიტერატორს, სახვითი ხელოვნების დარგში მომუშავეს (მხატვარს) და კომპოზიტორს, რომელსაც აქვს თვიური სამუშაო საშოვარი ან შემოსავალი არა უმეტეს 400 მანეთისა, შეეფარდება ბინის ქირის სათანადო განაკვეთი, რაც დაწესებულია მუშა-მოსამსახურეებისათვის. როდესაც აღნიშნული შემოსავლის თანხა მეტია, ბინის ქირა გამოიანგარიშება ისე, როგორც თავისუფალი პროფესიის პირისათვის.

შენიშვნა 3. თავისუფალი პროფესიის ამა თუ იმ პირს, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოს სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დავალებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატა საბჭოს შეუძლიან, ვამონაკლისის სახით, დაუწესოს საცხოვრებელი სადგომის სასყიდელი იმავე საფუძველზე, როგორც მუშა-მოსამსახურეებს.

14. ეპერისათვის და მოსახლეობის სხვა, არამშრომელთა კატეგორიის პირისათვის ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება, მისი შემოსავლის მიხედვით, 1 მან. და 98 კაპიკიდან საცხოვრებელი სივრცის 1 კვად. მეტრზე—ტფილისში და 1 მან. და 32 კაპიკიდან 1 კვად. მეტრზე—რესპუბლიკის სხვა ქალაქებში; ამასთანავე, ბინის ქირის მაქსიმუმი აღნიშნული კატეგორიისათვის 1 კვად. მეტრზე დაწესდება ტფილისში 4 მან. და 40 კაპ. რაოდენობით, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებში 2 მან. და 20 კაპ. რაოდენობით.

შენიშვნა 1. მოსახლეობის არამშრომელთა კატეგორიას ეკუთვნის: სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მფლობელნი, თანამფლობელნი და მეპაიენი, მოიჯარენი და მოანაბარენი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ეწევიან ვაჭრობას, ნარდად მუშაობას და გაყიდვა-მიწოდებას, საშუამავლო, სამაკლერო, საბირჟო და სხვა საამისო ოპერაციებს, ის პირნი, რომელნიც ცხოვრობენ ფულადი კაპიტალებისა, პროცენტიანი და დივიდენდიანი ქაღალდების შემოსავლით, სახელმწიფო სესხის შემოსავლის გამოკლებით, და ყველა ის პირი, რომელიც იბეგრება საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განაწესის თანმხმად, აგრეთვე რელიგიური კულტის მსახურნი.

შენიშვნა 2. ის მოვაჭრე, რომელიც საშემოსავლო გადასასადით არ იბეგრება, ბინის ქირის სფეროში ეთანაბრება შინამრეწველთ და ხელოსანთ (მუხ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 3. მე-14 მუხლის ფარგლებში ბინის ქირის განაკვეთები განისაზღვრება წინა საგადასახადო წლის შემოსავლის მიხედვით, რაც გამორკვეული იქნება საფინანსო ორგანოების მიერ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დროს.

15. ამა დადგენილების მე-5, 7, 8, 9, 10, 11, 12 და 13 მუხლებში აღნიშნული პირის რჩენაზე მყოფი და მისგან ცალკე მცხოვრები პირი თავისი საცხოვრებელი სივრცისათვის სასყიდელს გადაიხდის იმ ტარიფით, რაც დაწესებული მოსახლეობის სათანადო კატეგორიისათვის და იმ დახმარების მიხედვით რასაც იგი იღებს თავის მარჩენალისაგან.

ამა დადგენილების მე-14 მუხლში აღნიშნული პირის რჩენაზე მყოფი და მისგან ცალკე მცხოვრები პირი საცხოვრებელი სივრცის სასყიდელს გადაიხდის იმ პირისათვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით, ვის რჩენაზედაც იგი იმყოფება

16. მე-11, 13 და 14 მუხლებში აღნიშნული პირი, რომელიც საშემოსავლო გადასახადით პირველად იბეგრება, ვიდრე სათანადო საფინანსო ორგანო მის შემოსავალს გამოარკვევდეს, საცხოვრებელი სივრცის სასყიდელს გადაიხდის სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ და არა მეტტეს იმ უკიდურესი განაკვეთისა, რაც განსაზღვრულია დამქირავებელთა სათანადო კატეგორიისათვის.

17. მუშა-მოსამსახურისათვის ბინის ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება მთელი მისი სამუშაო ხელფასი გარდა ზედმეტი მუშაობისათვის მიღებული გასამრჯელოსი და აგრეთვე იმ პირთა სპეციალური დატვირთვის გასამრჯელოსი, რომელნიც შრომის სასყიდელს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებენ.

შენიშვნა 1. ბინის ქირის გამოსაანგარიშებლად ნავარაუდევ სამუშაო ხელფასში შედის იმ ნაჭრობითი სამუშაოსათვის მიღებული საშოვარი, რაც შესრულებულ იქნა ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა 2. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, აგრეთვე ვადაზევითი სამსახურის სამერიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ისეთ სახლში ცხოვრობს, სადაც ბინის ქირას ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაკვეთებით ახდევინებენ,—ბინის ქირის გადახდევინების სფეროში გათანაბრებულ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეებთან; ამასთანავე, ეს ქირა გამოიანგარიშება აღნიშნული სამხედრო მსახურის ძირითადი ჯამაგირის მიხედვით.

შენიშვნა 3. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირს ბინის ქირა იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი საკარვობო თავმოყრაში იქნება, გადაჰხდება იმ ქირის 50%-ის რაოდენობით, რასაც იგი ქალაქში ყოფნის დროს იხდის.

18. დაქირავებული შრომის მომუშავე, რომელიც შეთავსებით მუშაობს, და ის პირი, რომელიც იღებს სათანამდებობო ან სპეციალურ განაკვეთს, აგრეთვე ის პირი, რომელსაც მისი მტკიცე ძირითადი განაკვეთის დამატებად ეძ-

ლეკა ტანტიემა ან პროკენტული გასამრჯელო, ბინის ქირას გადაიხდის მთელი თავისი ერთობილი თვიური სამუშაო ხელფასის მიხედვით.

შენიშვნა. პედაგოგიური შრომის პირისათვის (უმაღლესი, საშუალო და დაბალი სასწავლებლის მასწავლებელი) ბინის ქირის განსაზღვრის დროს სათვალავში მიიღება მხოლოდ ის სამუშაო ხელფასი, რასაც იგი სპეციალურად მისი კატეგორიის პირთათვის დაწესებული სამუშაო დროის ნორმისათვის იღებს; ის სამუშაო ხელფასი-კი, რასაც იგი ამაზე მეტს იღებს იმავე ან სხვა სასწავლებელში, ჩაითვლება ზედმეტ ნამუშევრად და ბინის ქირის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება.

უკეთუ პედაგოგიური შრომის პირი თავისი ძირითადი პედაგოგიური მეცადინეობის გარდა, მუშაობს კიდევ შეთავსებით 'სხვა დაწესებულებასა ან საწარმოში, ბინის ქირა მისთვის გამოიანგარიშება მისი უმაღლესი სამუშაო ხელფასის მიხედვით (პედაგოგიური ან სხვა სამუშაოსათვის).

19. მუშა მოსამსახურე მოვალეა წარუდგინოს სახლის სამოუაროს ანგარიშგასწორების წიგნაკი ან სამსახურის ადგილიდან მიღებული მოწმობა თანამდებობისა და სამუშაო ხელფასის რაოდენობის აღნიშვნით.

20. ბინის დამქირავებელი გადაიხდის ქირას წინა მუხლებში აღნიშნული განაკვეთების მიხედვით მის მიერ და მის რჩენაზე მყოფი ოჯახის წევრების მიერ დაქირავები საცხოვრებელი სივრცისათვის 10 კვადრ. მეტრის (საბინაო-სასანიტარო ნორმის) ფარგლებში თითო სულზე—ტფილისში, ხოლო 12 კვადრ. მეტრის ფარგლებში თითო სულზე—სხვა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას.

შენიშვნა. ბინის ქირის გადახდის სფეროში ოჯახის წევრად ითვლება: საცხოვრებელის ქირის გადამხდელის მეუღლე, ყველა მასთან მცხოვრები და მის რჩენაზე მყოფი პირი და აგრეთვე შინა-მოსამსახურე.

21. მრავალრიცხოვანი ოჯახის მქონე დამქირავებლისათვის ამა დადგენილების მე-6 („ა“, „გ“ და „დ“ პუნ.), 7, 9, 10, 11, 12 და 13 მუხლებში აღნიშნულ პირთაგან დაწესდება ბინის ქირის მონაკლები თვითეულ სარჩენ პირზე, დაწესებული მესამე პირიდან, 10 %-ის რაოდენობით, ხოლო საერთოდ არა უმეტეს 30 %-სა.

შენიშვნა. ის პირი, რომელსაც აქვს 20 მან. მეტი დამოუკიდებელი შემოსავალი, რჩენაზე მყოფთა შორის არ ჩაირიცხება.

22. როდესაც საცხოვრებელი სადგომი (ბინა თუ ოთახი) ორს ან რამდენსამე პირს უქირავს და თვითეულ მათგანს აქვს დამოუკიდებელი სამუშაო ხელფასი თუ შემოსავალი, ბინის ქირა, თუნდაც ეს პირნი ერთი და იმავე ოჯახის წევრნი იყვნენ, გადახდეენებულ უნდა იქნეს იმ პირის სამუშაო ხელფასისა თუ შემოსავლის მიხედვით, რომელიც მათ შორის უდიდეს სამუშაო ხელფასს თუ შემოსავალს იღებს.

23. ქირას მე-20 მუხ. გათვალისწინებული ნორმის გარეშე საცხოვრებლად ვარგისი ზედმეტი სივრცისათვის ამა დადგენილების მე-5, 7, 8, 9, 10, 11, 12 და 13 მუხლებში აღნიშნული დამქირავებელნი გადაიხდიან ერთი-ორად ბინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქირის სათანადო განაკვეთების მიხედვით, ხოლო მე-14 მუხ. აღნიშნული დამ-ქირავებელნი—ერთი-სამად.

უკეთუ დამქირავებელი მუშაა ან მოსამსახურე და ზედმეტი სივრცე არ აღემატება მთლად ოჯახის მიერ ნორმის მიხედვით დაკერილი საცხოვრებლად ვარგისი სივრცის ნახევარს, ქირა ზედმეტი სივრცისათვის გადახდევინებულ უნ-და იქნეს ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა 1. იმ დამატებითი სივრცისათვის—15 კვ. მეტრის ფარგ-ლებში,—რაც მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას ეძლევა „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხ. თანახმად, ქირა გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთმაგი რაოდენობით.

იმ თანამდებობათა და პროფესიათა სიას, რაც დამქირავებელს უფლებას აძლევს დამატებით სივრცე იქონიოს, დაადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა 2. ზედმეტი საცხოვრებელი სივრცისათვის შესული ქირის თანხების 50%-ს სახლის სამოურაონი გადასცემენ ადგილობრივი საბჭოს სალაროს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში შექმნილი საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შესავსებად.

24. ყველა დამქირავებლისათვის, ამა დადგენილების მე-14 მუხლში აღ-ნიშნულთა გამოკლებით, ბინის ქირა ქალაქის განაპირად მდებარე სახლებში შემცირდება 33,3 %-ით.

შენიშვნა. ქალაქის დაყოფას ცენტრებზე და განაპირა ადგილებზე დაადგენს სათანადო საქალაქო საბჭო ან სათემო საბჭო.

25. სასარდაფო სადგომისათვის, რომლის იატაკიც მიწის დონეზე დაბლაა არა უმეტეს, ვიდრე 0,5 მეტრით, ამა დადგენილების 24 მუხლში აღნიშნული პირი ქირას გადაიხდის ნორმალური ტარიფზე 25%-ის დაკლებით.

26. სასარდაფო სადგომისათვის, რომლის იატაკი მიწის დონეზე უფრო დაბლაა, ვიდრე 0,5 მეტრით, აგრეთვე ბნელი ოთახისათვის (რომელსაც ფანჯ-რის სინათლე არა აქვს), სასხვენო სადგომისათვის და სავლელი ოთახისათვის (რომლებზედაც დამქირავებლისათვის უცხო მდგმურები დადიან) ამა დადგენი-ლების 24 მუხლში აღნიშნული პირი ქირას გადაიხდის ნორმალურ ტარიფზე 50%-ის დაკლებით.

შენიშვნა. სასარდაფო ოთახად ითვლება ისეთი ოთახი, რომლის იატ-აკიც თუნდაც ერთის მხრით მიწის დონეზე დაბლაა.

27. იმ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოიმ-პოვება სათანადო კომუნალური გამართულობანი, საცხოვრებელი სადგომის ქირა შეიძლება შემცირებულ იქნეს:

ა) უკეთუ სადგომს ელექტრო-სინათლე არა აქვს . . . 5%-ით;

ბ) უკეთუ სადგომს წყალსადენი არა აქვს 10%-ით;

გ) უკეთუ სადგომს კანალიზაცია არა აქვს . . . . . 10%-ით.

28. ამა დადგენილების 24 მუხლში აღნიშნული პირისათვის, რომელიც სამზარეულოს არა ხმარობს, ბინის ქირა შემცირდება 10%-ით, ხოლო იმისთვის, ვინც ხმარობს საერთო სამზარეულოს სხვა მდგმურებთან ერთად—5%-ით.

29. ამა დადგენილების მე-5, 7, 8, 9 მუხ. და მე-12 მუხ. 1-ლსა და მე-2 შენიშვნაში აღნიშნულ პირთ ბინის ქირა შეაქვთ არა უგვიანეს საგადასახდელო თვის მომდევნო თვის 10-ს რიცხვისა; ხოლო დანარჩენი კატეგორიის პირთ ბინის ქირა შეაქვთ არა უგვიანეს მიმდინარე საგადასახდელო თვის 15 რიცხვისა.

შენიშვნა. უკეთუ მუშა-მოსამსახურემ და მასთან გათანაბრებული კატეგორიის პირმა ბინის ქირა ვადაზე არ შეიტანა ჯამაგირისა, დახმარებისა, პენსიისა და სხვ. თავის დროზე მიუღებლობის გამო, რაც სათანადოდ დადასტურებულია, ეს შეუტანლობა ვადის გადაცილებად არ ჩაითვლება.

30. უკეთუ, ამა დადგენილების თანახმად, ბინის ქირის რაოდენობა განსაზღვრულ უნდა იქნეს მხარეთა შეთანხმებით და მათ შორის შეთანხმება არ მოხდება, აგრეთვე ისეთ შემთხვევაში, რაც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის, ბინის ქირას განსაზღვრავს სასამართლო ამა დადგენილების საფუძვლებზე და დამქირავებლის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

II

წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ, გამოსცენ ამა დადგენილების საფუძვლებზე და შემოიღონ სამოქმედოდ საბინაო ტარიფები ქალ. ტფილისში არა უგვიანეს 1929 წ. სექტემბრის 1-სა, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—არა უგვიანეს 1929 წ. ოქტომბრის 1-სა.

III

ამა დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით გაუქმებულ იქნეს: ა) ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში „საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ს დადგენილების 1—28 მუხლები (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 98) და ბ) „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-11 მუხლი (კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-რი, მუხ. 20 და 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 99).

IV

ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

V

წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად, იმ თანამდებობათა და პროფესიათა სია, რაც „საცხოვრებელ სადგომთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლის თანახმად, ბინის დამქირავებელს უფლებას აძლევს იქონიოს დამატებითი ოთახი ან საცხოვრებელი სივრცე და აღნიშნული სია წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1929 წ. ოქტომბრის 1-სა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **თენგიზ ყაენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 2.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 205 №-ში 1929 წ. სექტემბრის 6.

---

203. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივი საგლეხო დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის (ფონდის) შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭო ადგენენ:

1. რათა სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს სათესლე მასალით სტიქიური უბედურებისა და მოუსიავლიანობის დროს, საჭიროდ იქნეს ცნობილი დაწესდეს ადგილობრივი საგლეხო დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი (ფონდი) ქვემოდ ჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

2. ადგილობრივი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი (ფონდი) დაწესდება სოფლის მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებით სასოფლო საბჭოს ცალკეული მოქალაქისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინადადების თანახმად:

ა) პაის შეტანით ნატურად, ე. ი. ამა თუ იმ რაიონის სასოფლო მეურნეობაში უაღრესი მნიშვნელობის კულტურის (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ქვავი, შვრია და სხვ.) მარცვლეულად შეტანით ან

ბ) განსაზღვრული საზოგადო მიწის ნაკვეთების გამოყოფით და ამ მიწების დათესვით სოფლის ყველა მოქალაქეთა საერთო სახსარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება დამზღვევი ხელ-ულხლებელი სათესლე მარაგის დაწესების შესახებ სავალდებულოა სოფლის ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კი სასოფლო მეურნეობას მისდევს.

შენიშვნა. დამზღვევი ხელულხლებელი სათესლე მარაგის დასაწესებლად საჭიროა, რომ მოქალაქეთა საერთო კრებაში (ყრილობაზე) მონაწილეობა მიიღოს უწყებული სოფლის იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთმა მე-სამედმა მაინც, რომელთაც აქვთ ნათესები და აგრეთვე საარჩევნო უფლება; ამასთანავე, დადგენილება დამზღვევი ხელულხლებელი სათესლე მარაგის დაწე-სების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ხმის მარტივი უმეტესობით.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად შექმნილი სათესლე მარაგი მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ არჩეული კომისიის განკარგუ-ლებაშია. კომისია აირჩევა სამი პიროსაგან (უწყებული სოფლის იმ მოქალაქეთა შორის, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს).

კომისიას დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

აღნიშნული კომისია ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ წარუდგენს სასოფლო ყრილობას და სასოფლო საბჭოს.

სათესლე მარაგის შექმნის საქმეს ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბ-ჭო და იგივე თვალყურს ადევნებს ამ მარაგის მდგომარეობას.

4. სათესლე მარაგს აქვს დამზღვევი ხასიათი და მისი განსაკუთრებული დანიშნულებაა უზრუნველჰყოს უწყებული სოფლის მცხოვრენნი სათესლე მასა-ლით. სათესლე მარაგის ხარჯვა სასურსათო ან სხვა რამ მიზნით აკრძალულია.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასოფლო საბჭოს დადგე-ნილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კო-მიტეტის მიერ (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ), შეიძლება სათესლე მარაგიდან სესხო-ბრივად სათესლე მასალა ერთი სოფლიდან მეორე სოფელს გადაეგზავნოს იმ ტერიტორიის ფარგალში, რომელსაც აერთიანებს სასოფლო საბჭო.

5. მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება დამზღვევი ხე-ლულხლებელი სათესლე მარაგის დაწესების შესახებ ნატურალური საპაიო შენატა-ნით (მე-2 მუხლის „ა“ პუნ.) ან სათესლე მარაგის დასათესად საზოგადო მიწის ნაკვეთის გამოყოფით (მე-2 მუხლის „ბ“ პუნ.) წარედგინება დასამტკიცებლად, სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელ კომი-ტეტს), რომელიც უკეთუ, აღნიშნული დადგენილება შეესაბამება ამა დადგენი-ლებით განსაზღვრულ პირობებს, გასცემს სათანადო მოწმობას.

6. დამზღვევი ხელულხლებელი სათესლე მარაგის საერთო რაოდენობას თვი-თეული დასახლებული პუნქტისათვის განსაზღვრავს სასოფლო საბჭო ისეთი ვარაუდით, რომ ეს მარაგი შეადგენდეს 25-დან 50 %-მდე იმ სათესლე მასა-ლისა, რაც საჭიროა ყოველწლივ მოსახნავი მიწების სივრცის დასათესად. სა-თესლე მარაგი შეგროვილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში მაინც.

7. დამზღვევ ხელულხლებელ სათესლე მარაგში შესატანი პაის რაოდენობას და შეტანის ვადას განსაზღვრავს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრული სათესლე მარაგის (ფონდის) საერთო რაოდენობას მეურნეობათა შორის განაწილებს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა), რომელიც მხედველობაში მიიღებს ცალკეულ მეურნეობათა მცირეძალოვნებას, რათა ამ მცირეძალოვან მეურნეობათათვის დადგენილ იქნეს საპაიო შენატანის უფრო შემცირებული განაკვეთები და შეტანის ვადა მათ გაუნაწილდეს 5 წლამდე, ხოლო უმაღლესი განაკვეთი ძალოვან ინდივიდუალურ მეურნეობათათვის არ უნდა აღემატებოდეს მათთვის საჭირო სათესლე მასალის რაოდენობის 100%-ს.

მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება განსაზღვრული სათესლე მარაგის (ფონდის) საერთო რაოდენობის განაწილებისა და შეტანის ვადების შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ, რომელიც ამ დადგენილების დამტკიცების დროს განიხილავს აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა საჩივრებს განაწილებისა და შეტანის ვადების თაობაზე. სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული განაწილება და ვადები საავალდებულოა უწყებული სოფლის ყველა მოქალაქისათვის.

შენიშვნა. სათესლე მარაგად მიწყული მარცვლეული უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა მისი დანიშნულებისა და შენახვისათვის.

8. სათესლე მარცვლეული დამზღვევი ხელუხლებელი მარაგიდან გაიცემა, მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილების თანახმად, დასაბრუნებელი სათესლე სესხის სახით; აღნიშნული დადგენილება ძალაში შევა სასოფლო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ; სასოფლო საბჭოს უფლება აქვს დაუბრუნოს დადგენილება მოქალაქეთა საერთო კრებას ხელახალი განხილვისათვის, უკეთუ იგი სცნობს, რომ დადგენილება შეუსაბამოა.

9. სესხი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგიდან მიეცემა პირველ რიგში უღარიბეს გაჭირვებულ მოსახლეობას, ამასთანავე, სათესლე სესხის განაწილებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, სათათბირო ხმის უფლებით გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოების წარმომადგენლებმა.

10. მსესხებელი, რომელმაც მიიღო სათესლე სესხი დამზღვევი ხელუხლებელი მარაგიდან, მოვალეა დაუბრუნოს იგი პირველსავე მოსავლიდან სასოფლო საბჭოს მიერ ადგილობრივი პირობების მიხედვით, დადგენილ ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა თაეთაეიანი თესლი და არა უგვიანეს მარტის 1-სა—სიმინდი.

11. უკეთუ გაცემული სესხი და აგრეთვე საპაიო შესატანი ვადაზე არ იქნა წარდგენილი, ამ სესხსა და საპაიო შესატანს სასოფლო საბჭო გადაახდევინებს არაპირიან გადამხდელთ ადმინისტრატიული წესით, რაც დადგენილია სახელწიფო გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებისათვის.

შენიშვნა. შუამდგომლობას სესხის დაფარვის ვადის გადადების შესახებ გადასწყვეტს სასოფლო ყრილობა და ამ გადაწყვეტილებას დამტკიცებს სასოფლო საბჭო.

12. სათესლე მარაგის ზედმიწევნით აღნუსხვა და სესხის მიმღებთა სიის შედგენა—გაცემულ სესხთა რაოდენობისა და სახისა, მათი გადახდის ვადებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაფარვის დროის აღნიშვნით—დაეკისრება ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ კომისიას.

13. უკეთუ სასოფლო საბჭოს თანამდებობის პირისა და მე-3 მუხ. აღნიშნული კომისიის წევრის მიზეზით დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი გამოყენებულ იქნა ამა დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევით, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლების მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაულობანი.

14. სათესლე ფონდების წარმატებით განვითარებისათვის:

ა) საოლქო აღმასრულებელ კომიტეტ', (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს) დაეკისრება—მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის შექმნის საქმის მსვლელობას და ხელი შეუწყოს ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში; ბ) ადგილობრივ საადგილმამულო ორგანოებს დაევალებათ ხელი შეუწყონ იმ სასოფლო საბჭოებს, რომელნიც სათესლე ფონდების შექმნის საქმეს შეუდგებიან, აგრონომიული დახმარების მოწყობით, გლეხთა მოსახლეობისათვის ინსტრუქტორობის გაწევით, ბელღების ასაშენებლად და სარემონტოდ შეღავათიან პირობებზე ტყის გაცემით, სახელმწიფო ფონდიდან მიწის ნაკვეთების გაცემით შეერთებულის ძალით მოსახნავად, გლეხთა მარცვლეულზე გაუმჯობესებული ხარისხის მარცვლეულის გაცვლით და გაუმჯობესებული მარცვლეულის გაცემით მიწების შეერთებული ძალით მოსახნავად; გ) სასოფლო სამეურნეო კრედიტის ორგანოებს დაეკისრებათ—გაითვალისწინონ თავიანთ გეგმებში სასოფლო საბჭოებისათვის შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიცემა საზოგადო ბელღების ასაშენებლად და სარემონტოდ.

15. სათესლე მარაგის შესანახად გამოიყენება ყველა საზოგადოებრივი მაღაზია, რაც კი პურეულის დამზადებისათვის იხმარება, და საამმიზნოდ სასოფლო საბჭოს მიერ მიჩენილი სათავსი.

16. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი) მოვალეა, საჭიროებისადამიხედვით, ხოლო წელიწადში ორჯერ მაინც, გამოიკვლიოს ადგილობრივი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის მდგომარეობა.

17. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ შექმნილი და შენახული დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის რეკვიზიცია არ შეიძლება.

ამ მარაგზე არ შეიძლება მიექცეს გადახდევინება როგორც ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისა, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და კერძო პირთა ყოველგვარი პრეტენზიისა; აგრეთვე ამ მარაგიდან არ შეიძლება გადაიდოს არავითარი ანარიცხი სარაიონო, საოლქო ან სხვა რამ ადგილობრივი საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ—აჯარისტანის ავტონომიურ სსრ-ისა და ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ულენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩოლორია.**

1929 წ. სექტემბრის 5
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 207 №-ში 1929 წ. სექტემბრის 8.

---

204. დადგენილება ცაკ. და სკ.

არაშემძლედ ცნობილი პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების საქმეთა ლიკვიდაციის ერთი ლიკვიდატორისათვის დაკისრების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 6-ს დადგენილებით (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-11 №-რი, მუხ. 101) დამტკიცებული „კოოპერატიულ ორგანიზაციების არაშემძლეობის დებულების" 25 მუხ. შენიშვნის თანახმად,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენენ:

სასამართლოს მიერ არაშემძლედ ცნობილი პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაცია,—ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში დამოუკიდებელი წევრის სახით შემავალი ორგანიზაციების გამოკლებით,—შეიძლება დაეკისროს ერთ ლიკვიდატორს სალიკვიდაციო კომისიის უფლება-მოვალეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **თ. ულენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულურია.**

1929 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

205. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის დანართის—სამხედრო დანაშაულთა დებულების—მე-7 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამგრ და თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 24 დადგენილებისა „სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 29 №-რი, მუხ 265)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) მე-7 და 8 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 7. ა) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებობით მიტოვება 6 დღედაღამეზე მეტი ხნით, ხოლო ფლოტის კამპანიის დროს, მანევრების დროს, სასწავლო, მოკლეგადიანი, განმეორებითი და შემმოწმებითი შეკრების დროს 2 დღედაღამეზე მეტი ხნით (გაქცევა),—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, სასტიკი იზოლაციის შეუფარდებლად.

ბ) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებობით მიტოვება თუნდაც 6 (2) დღედაღამეზე ნაკლები ხნით, უკეთუ ეს ჩადენილია სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან დიდი ხნით ან სრულიად თავის არიდების მიზნით (გაქცევა),—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

სოციალური დაცვის იმაეე ღონისძიებას.

გ) ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია მეორედ, ან მეტჯერ, ან ჩადენილია ომიანობის დროს, თუნდაც პირველად,—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა, სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

დ) ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია ომიანობის დროს, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში,—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას, ქონების კონფისკაციით.

ე) ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია საშუალო, უფროს, უმაღლეს და ვადასხვეითმსახურ უმაცროს თავმდგომთა შედგენილობის პირის მიერ,—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა, სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო ომიანობის დროს—სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას, ქონების კონფისკაციით.

ვ) ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია მშვიდობიანობის დროს, თუნდაც თავმდგომთა შედგენილობის პირის მიერ, განსაკუთრებით შემამსუბუქებელ გარემოებაში, უკეთუ ამასთანავე თვითნებობით სხვაგან ყოფნა გაგრძელდა არა უმეტეს 12 (4) დღეღამისა—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების შეფარდებას.

მუხ. 8. ა) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებობით მიტოვება უიმგანზრახვოდ, რომ დამნაშავეს სრულიად აერიდებინა თავი სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისათვის, უკეთუ სხვაგან ყოფნა გაგრძელდა არა უმეტეს 6 (2) დღედაღამისა (თვითნებობით წასვლა), ხოლო ეს სისტემატიურად განმეორდა,—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

მე-7 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

ბ) იგივე ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია საშუალო, უფროს, უმაღლეს და ვადაზეევითმსახურ უმცროს თავმდგომთა შედგენილობის პირის მიერ,—გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს

მე-7 მუხ. „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

შენიშვნა. მე-7 მუხ. „გ“ პუნქტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ქმედობას იმ შემთხვევაში, უკეთუ ამგვარიეე ქმედობისათვის უკვე ყოფილა დადებული მსჯავრი, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ აღნიშნული ქმედობა ჩადენილია პირველად, ხოლო ომიანობის დროს, ან იმის შემდეგ, რაც უკვე ყოფილა დადებული მსჯავრი მე-7 მუხ. „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ქმედობისათვის.

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **თ. ულენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

206. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული საკურორტო თათბირის შესახებ.

სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის მიერ კურორტებზე წარმოებული მუშაობის შესათანხმებლად, საკურორტო მშენებლობის საქმიანობაში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად და საკურორტო პოლიტიკისა და გეგმის მთლიანობის უზრუნველსაყოფად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

1. მოიწყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან საკურორტო თათბირი.

2. საკურორტო თათბირის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მუშა-მოსამსახურეთა საკურორტო მკურნალობის ყოველწლიური მოთხოვნილების გამორკვევა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საერთო გეგმის შედგენა;

ბ) ავადმყოფთა კურორტებზე გადაყვან-გადმოყვანის გეგმის განხილვა;

გ) საქართველოს სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს, სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტისა, აფხაზეთის სსრ-ის მთავარი საკურორტო სამმართველოს, აპარისტანის ავტონომიური სსრ-ის საკურორტო სამმართველოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საპერსპექტივო და საოპერაციო საკურორტო გეგმების განხილვა, აგრეთვე სხვა იმ ორგანოებისაც, რომელნიც საკურორტო-სამკურნალო დაწეწებულებებს განაგებენ; თანაც ამ უკანასკნელთა მოქმედების ანგარიშების განხილვა;

დ) როგორც საქართველოს სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს, ისე სხვა უწყებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში მყოფ საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებათა მოქმედების ნაკლის გამოაშკარავება და ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებათა განხილვა;

ე) იმ ღონისძიებათა განხილვა, რათა მშრომელთა ელემენტებმა რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ კურორტები და, აგრეთვე, საკურორტო მშენებლობის სხვა საერთო პრინციპიალური საკითხების განხილვა.

3. საკურორტო თათბირი შესდგება: თავმჯდომარისაგან, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, და წევრებისაგან—ითითო წარმომადგენლის სახით—შემდეგი უწყებისა და ორგანიზაციისაგან: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოსი, საგზაო დაზღვევი სალაროსი, სარკინიგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტისა, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალური კავშირთა საბჭოსი, სამედიცინო და სასანიტარო დარგში მოუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობისა, სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტისა, აფაზეთის სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოსი, აჭარისტანის ავტ. სსრ საკურორტო სამმართველოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებისა, საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო თათბირისა და საქართველოს სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოსი.

4. თათბირის წევრები მუდმივი წარმომადგენელნი არიან იმ დაწესებულებებისა, რომელთაც ისინი გაჰგზავნეს.

5. თათბირის მიერ გასარჩევი საკითხები შეიტანება მის განსახილველად როგორც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ისე იმ უწყებისა და ორგანიზაციის ინიციატივით, რომელიც წარმოდგენილია თათბირში.

6. თათბირის კრებას იწვევს მისი თავმჯდომარე საჭიროებისადმიხედვით, ხოლო ორ თვეში ერთხელ მაინც. თათბირის სამი წევრის მოთხოვნით თავმჯდომარე იწვევს საგანგებო კრებას.

7. კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას 7 წევრი დაესწრო, მათ რიცხვში თავმჯდომარეც. დადგენილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმეტესობით. უკეთუ ხმები თანაბრად გაიყო, მიღებულად ის აზრი ითვლება, რომელსაც თავმჯდომარე მიეგბრო.

8. თათბირის დადგენილება ძალაში შედის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ.

9. იმ დაინტერესებულ უწყებას და ორგანიზაციას, რომელიც არ ეთანხმება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ საკურორტო თათბირის დადგენილებას, შეუძლიან ეს დადგენილება განასაჩივროს არსებული საერთო წესისამებრ.

10. საკურორტო თათბირის მთელი საქმისწარმოება მიმდინარეობს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ულენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **პ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 6.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 211 №-ში 1929 წ. სექტემბრის 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

207. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებისათვის“ 40¹ მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებას“ (კან. კრ. 1927 წ. № 7, მუხ. 100; 1929 წ. № 14 მუხ. 145) დაემატოს 40¹ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 40¹. იმ ჯარიმიდან, რაც გადაჰხდება საქონლის ფარულად დამკვლელს საქონლის დაკვლის საქმის მომზესრიგებელი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის. 50% მიეცემა საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი-კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ჟღენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

---

208. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკეთულებათა და დოკუმენტთა შემოწმების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. „სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და დოკუმენტთა შემოწმების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიღისა და 44 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 72) სათაური შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „სათემო აღმასრულებელი კომიტეტების სანოტარო მოქმედებათა შესახებ.“

2. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს მას შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

2. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისროს შემდეგი სანოტარო ფუნქციებს:

ა) დამოწმება ყოველგვარი ხელშეკრულებისა ცალკე მოქალაქეთა შორის, სრულ ამხანაგობათა და ნდობის ამხანაგობათა ხელშეკრულებების გამოკლებით;

ბ) დამოწმება ხელშეკრულებებისა, რომლებსაც ქვედა საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები (სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო, საკრედიტო ამხანაგობა, არტელი და სხვ.), საადგილ-მამულო საზოგადოებები და გლეხთა ურთიერთი დამხმარე კომიტეტები დასდებენ როგორც ერთმანეთ შორის, ისე ცალკე მოქალაქეებთანაც, და აგრეთვე ხელშეკრულებებისა საგლეხო მეურნეობათა მიერ თავისი მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოთათვის ყიდვა-მიწოდების შესახებ;

გ) დამოწმება ხელშეკრულებებისა ფოსტის ადგილობრივი ორგანოებისა და გლეხებს შორის ფოსტის გადაზიდვის შესახებ, როდესაც ხელშეკრულების თანხა 3.000 მან. არ აღემატება;

დ) მოხდენა თამასუქის პროტესტისა იმ შემთხვევაში, როდესაც ფულის გადახდა სათანადო თემის რაიონში უნდა მოხდეს, და ამ თამასუქზე აღსრულების წარწერის გაკეთება;

ე) შემოწმება ხელმონაწერისა წერა-კითხვის უცოდინარის ნაცვლად ყოველგვარ ვალდებულებაზე და სხვა დოკუმენტზე;

ვ) დადასტურება საფოსტო კორესპონდენციის მიმღების ვინაობისა და შემოწმება ხელმონაწერისა განცხადებაზე, უწყებაზე და სხვა დოკუმენტზე;

ზ) შემოწმება დოკუმენტის ასლის სისწორისა.

შენიშვნა. ამა მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ მოქმედებას სათემო აღმასრულებელი კომიტეტი შეასრულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე მაინც მუდმივად სცხოვრობს სათანადო თემის რაიონში“.

3. აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

3. გარიგებათა დამოწმება და ხელმონაწერისა და დოკუმენტის ასლის სისწორის შემოწმება მოხდება სათანადო წარწერით დასამოწმებელ და შესამოწმებელ დოკუმენტებზე და ბეჭდის დასმით.

4. ზემოაღნიშნულ დადგენილებიდან ამოიშალოს მე-5 მუხლი.

II

წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი თვის ვადაზე სათემო აღმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებელი კომიტეტების სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია მათ მიერ ამა დადგენილებით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. თ. ყლენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი,-სასახლე.

---

209. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

„სსრკ-ის საზღვარგარეთ მომქმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების სათაურისა და 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „სსრკ-ის საზღვარგარეთ მომქმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-რი, მუხ. 104) 1-ლი მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 1.** იმ სპეციალისტს, რომელიც საზღვარგარეთ გაიგზავნება სსრკ-ის საგარეო ვაჭრობისა და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში და სსრკ-ის სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში სამუშაოდ, აგრეთვე დიპლომატიური მოღვაწეობისათვის საზღვარგარეთ წარგზავნილებულ თანამდებობის პირს—შეენარჩუნება მის მიერ საზღვარგარეთ წარგზავნილებამდე დაჭერილი საცხოვრებელი სივრცე მთლად იმ ხნის განმავლობაში, რაც აღნიშნული პირი წარგზავნილებულ იქნება საზღვარგარეთ, ან რა ხნითაც სსრკ-ის საზღვარგარეთ მომქმედი დაწესებულება თუ ორგანიზაცია დასდებს მასთან შრომის ხელშეკრულებას“.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების სათაური მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სსრკ-ის საზღვარგარეულ მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ჟღენტი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

---

210. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასული მდგმურებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე შენარჩუნების პირობების დებულების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სახლის დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასული მდგმურებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ 1928 წ. აპრილის 25-ს თარიღით გამოცემული დებულების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 143) მე-5 მუხლს დაემატოს პუნქტი „თ“ შემდეგი შინაარსისა:

„თ) ხელოვნების მომუშავეს—პროფესიონალური კავშირის წევრს, დროებით სამუშაოდ წასულს—ექვსი თვის ვადით“.

II. ამავე დებულების მე-7 მუხლს დაემატოს პუნქტი „ე“ შემდეგი შინაარსისა:

„ე) ხელოვნების მომუშავემ, დროებით სამუშაოდ წასულმა-ხელოვნების მომუშავეთა ცენტრალური საშუამავლო ბიუროს განყოფილებაში რეგისტრირებული თავისი ინდივიდუალური ხელშეკრულების ასლი ან იმავე ორგანიზაციის სათანადო ცნობა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ჟღენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

211. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის* კოდექსისათვის 106[1] მუხ. დამატების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შინაურული არაყის გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ 1927 წ. დეკემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 14) თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამგბრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 106[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 106[1]. შინაურული არაყის გამოხდა და შენახვა გასაღების მიზნით და გასაღება, უკეთუ ეს ხელობის სახით ხდება, და აგრეთვე შინაურული არაყის გამოხდისათვის საჭირო სპეციალური აპარატების ხელობის სახით დამზადება, შენახვა, შეკეთება და გასაღება გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ან და ჯარიმას ხუთას მანეთამდე, შინაურულად გამოხდილი არყისა, მის გასაკეთებელი იარაღისა და აპარატების კონფისკაციით.

შინაურული არაყის გამოხდა და შენახვა არა გასაღების მიზნით და თვით გასაღება, უკეთუ ეს ხელობად არ არის გადაქცეული, და აგრეთვე შინაურული არაყის გამოხდისათვის საჭირო სპეციალური აპარატების დამზადება, შენახვა შეკეთება და გასაღება არა ხელობის სახით გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ას მანეთამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **თ. ყელენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბერი 14.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

212. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოქვეყნებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქციის მე-7 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

მე-7 მუხლის ქართული ტექსტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 2-ს დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციისა „ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შესაფარდებლად (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 77 და გაზ. „კომუნისტი“ 103 №-რი 1929 წ. მაისის 9-სა) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ.** 7 ნარკოტიული პრეპარატის განმეორებით გაცემის დროს რეცეპტი ხელმეორედ უნდა შეამოწმოს ექიმმა ამა ინსტრუქციის მე-4 და 5 მუხლებში გათვალისწინებული წესის დაცვით“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 226 №-ში 1929 წ. აგვისტოს 6.

---

213. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საექსკურსიო-სატურისტო სააქციო საზოგადოება „ტურისტი-“ს ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, აგრეთვე სასამართლო მაჟისა და სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან საექსკურსიო-სატურისტო სააქციო საზოგადოება „ტურისტი“, მისი ადგილობრივი ორგანიზაციები და აგრეთვე ყველა მისი კუთვნილი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯარით აღებული საწარმო, რომლის დანიშნულებაც ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის მომსახურეობის გაწევაა (საექსკურსიო ბაზა, დახურული ტიპის სასადილო, სადაც მაგარი სასმელი არ იყიდება, კიოსკი, სადაც სატურიზმო წიგნები და სატურიზმო სპეციალური საგნები იყიდება, აგრეთვე ისეთი საწარმო, რომელიც მოსამსახურეობას უწევს ტურისტებსა და ექსკურსანტებს სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდებით), უკეთუ ამ საწარმოთა ექსპლოატაციას უშუალოდ თვით საზოგადოება ეწევა, იჯარით გაუცემლად.

2. განთავისუფლებულ იქნეს იგივე სააქციო საზოგადოება „ტურისტი“

ა) სასამართლო ბაჟისაგან და

ბ) სანოტარო გამოსაღებისაგან ყველა იმ ხელშეკრულებისა, გარიგებისა და დოკუმენტისათვის, რაც დადებულ იქნება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული მიზნის განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი—სასახლე.

---

214. დადგენილება ს. კ. ს.

ბინების სანიტარული დაცვის შესახებ.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად და დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების სანიტარული-მდგომარეობისათვის ზედამხედველობის გასაწევად, აგრეთვე „სასანიტარო ორგანოების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. დეკემბრის 3-ის დადგენილების 1 მუხ. „ბ“ პ. და მე-4 მუხ. „ა“ პუნქტის (კან. კრებ. 1925 წ. № 3, მუხ. 111) განსაკუთრებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის ყველა დასახლებულ ადგილას საცხოვრებელ სადგომებს საბინაო-სასანიტარო ზედამხედველობას უწევს სპეციალური საბინაო-სასანიტარო ინსპექცია.

2. საბინაო-სასანიტარო ინსპექციის მიზანს შეადგენს:

ა) გამოიკვლიოს მოსახლეობის საბინაო-სასანიტარო პირობები და შეიმუშაოს ამ პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

ბ) აწარმოოს საბინაო-სასანიტარო სტატისტიკა სტატისტიკურ დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობით;

გ) მონაწილეობა მიიღოს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის გეგმებისა და საბინაო მშენებლობის სხვა საერთო საკითხების შემუშავებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მონაწილეობა მიიღოს ახალ შენობათა გეგმების განხილვაში, დასკვნა მისცეს ამ გეგმების შესახებ და დაათვალიეროს წინასწარ ახლად აგებული საცხოვრებელი სადგომები მათი სანიტარული და მშენებლობითი ვარგისიანობის გამოსარკვევად;

ე) მუდმივი ზედამხედველობა გაუწიოს საბინაო-სასანიტარო წესების შესრულებას;

ვ) ხელი შეუწყოს საცხოვრებელ სადგომებში მოსახლეობის ხელმოკლე ჯგუფების სათანადო განსახლების საქმეს;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საბინაო საკითხის სფეროში წარმოებულ სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობაში.

3. საბინაო სასანიტარო ინსპექციის გამგეობლობის საგანს შეადგენს ზედამხედველობის გაწევა როგორც კერძო, ისე საზოგადო სარგებლობის ყველა საცხოვრებელი სადგომისათვის, რაც დანიშნულია მუდმივ საცხოვრებლად ან ღამის გასათევად.

4. თავის მოვალეობათა შესასრულებლად საბინაო-სასანიტარო ინსპექციას, იმ საერთო უფლების გარდა, რაც გაათვალისწინებულია „სასანიტარო ორგანოების შესახებ გამოცემული სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის დეკემბრის 3 დადგენილების მე-5 მუხლით, უფლება აქვს:

ა) თავისუფლად შევიდეს ყველა საცხოვრებელ სადგომში დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

შენიშვნა. საცხოვრებელ სადგომებში ან საზოგადო სარგებლობის შენობაში (საერთო საცხოვრებელი სახლი, ღამის სათევი სახლი და სხვ.) შესვლისათვის დრო განსაზღვრული არ არის რა საათიც უნდა იყოს დღით თუ ღამით.

ბ) წერილობით მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომების სანიტარული მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ პირთ და დაწესებულებათ—თავიდან აიცილონ, განსაზღვრულ ვადაზე, აღმოჩენილი დარღვევა სასანიტარო წესებისა;

გ) აღძრას, თუ საჭირო იქნება, საკითხი საცხოვრებლად გამოუსადეგი სადგომის დახურვის ან ახლად აგებულ უვარგის შენობაში ჩასახლების აკრძალვის შესახებ;

დ) პასუხისგებაში მისცეს კერძო პირი თუ დაწესებულება საბინაო-სასანიტარო ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის.

5. საბინაო-სასანიტარო ზედამხედველობის ორგანიზაციისა და საერთო ხელმძღვანელობის საქმის განაგებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

6. წესებსა და ინსტრუქციებს საბინაო, სატეხნიკო, სასანიტარო და სხვა ორგანოთა შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შეიმუშავებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქ-
მეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 13.
ტფილისი—სასსნლ.

215. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი „დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 20.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

1. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო არის განათლების სახალხო კომისარიატის ორგანო, რომელიც უშუალოდ ემორჩილება კოლეგიას და საერთო ხელმძღვანელობას უწევს განათლების დარგში იდეოლოგიურ და მეთოდიურ მუშაობას და ამ მხრით ანხორციელებს კონტროლს სახალხო განათლების ორგანოების მიმართ.

2. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო:

ა) დაამყარებს, კოლეგიის დასტურით, საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს;

ბ) გადასწყვეტს საგანმანათლებლო მუშაობის პროცესში აღძრულ პრინციპულ საკითხებს და გასცემს ამ საკითხების გამო კონკრეტულ დირექტივებს;

გ) მისცემს განათლების ორგანოებს საერთო დირექტივებს სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესადგენად;

დ) გასცემს დირექტივებს შესამუშავებელი და გამოსაცემი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო წიგნების ხასიათისა და ტიპის შესახებ;

ე) კონტროლს გაუწევს განათლების ორგანოების იდეოლოგიურ და მეთოდიურ მუშაობას და განიხილავს ამ მუშაობის შედეგს როგორც მთლიანად, ისე ცალკე საკითხების ფარგლებში;

ვ) წარმართავს და კონტროლს გაუწევს იდეოლოგიური და მეთოდიური მხრით სხვა უწყებათა იმ ორგანოების მუშაობას, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობას უწევენ სასწავლებლებს;

ზ) დაამტკიცებს აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატებს საამისოდ მომქმედ კანონის თანახმად;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამეცნიერო დარგის ახალგაზრდა მომუშავეთა (ასპირანტების) შერჩევისა და მომზადების საქმეს, განსაზღვრავს მათ რიცხვს და გაანაწილებს მათ სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო საკვლევო დაწესებულებათა შორის.

3. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს:

ა) წარუდგინოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას ესა თუ ის წინადადება თავისი კომპეტენციის მიხედვით;

ბ) გამოსცეს დადგენილებანი, რაც სავალდებულოა განათლების სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა და ადგილობრივ ორგანოთათვის;

გ) მიანდოს განათლების სახალხო კომისარიატის დაწესებულებებსა და ადგილობრივ ორგანოებსა, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და კერძო პირებს ცალკეული საკითხების შემუშავება;

დ) მოსთხოვოს განათლების ორგანოებს ყველა საჭირო ცნობისა, ანგარიშისა და მოხსენების წარდგენა;

ე) მიანდოს თავის წევრებს ცალკე დაწესებულებათა ან მათი მუშაობის რომელიმე დარგის გამოკვლევა.

4. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო გადასწყვეტს საკითხებს სესიაში, რომელიც მოიწვევა საჭიროებისდამიხედვით, ხოლო არანაკლებ, ვიდრე წელიწადში ოთხჯერ. სესიებისავე წესით მუშაობენ როგორც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პლენუმი, ისე მისი სექციები (მუხ. 6.).

5. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სათავეში სდგას თავმჯდომარე (განათლების სახალხო კომისარი) და პრეზიდიუმი, რომლის შედგენილობასაც ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმი მუდმივ მომუშავე ორგანოა და მისი გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სესიების მომზადება;

ბ) სესიიდან სესიამდე ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რაც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციას შეადგენს, და რის გადადებაც შეუძლებელია;

გ) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პლენუმისა და სექციების სამუშაოთა გეგმის შედგენა.

6. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო შესდგება სამი სექციისაგან:

ა) სამეცნიერო-პოლიტიკური სექციისაგან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პოლიტიკური განათლებისა და საზოგადოებრივ მეცნიერობათა დარგში მუშაობას და აგრეთვე ამ მეცნიერებათა სწავლებას ყოველგვარ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სამეცნიერო-საპედაგოგიო სექციისაგან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას ბავშთა და მოზარდთა ყველა ტიპის სკოლასა და დაწესებულებაში აღზრდისა და სწავლების საქმეში;

გ) სამეცნიერო-ტეხნიკური სექციისაგან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას ყველა სახის სპეციალისტების მომზადებისა და საბუნებისმეტყველო, ზუსტ და გამოყენებით მეცნიერებათა განვითარების საქმეში;

შენიშვნა 1. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსთან არსებობს ეროვნულ უმეცრესობათა განათლებისათვის მუდმივი მეთოდიური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას, საქართველოს სსრ ეროვნულ უმწირესობათა კულტურის განვითარების საქმეში.

შენიშვნა 2. სექციების თავმჯდომარეებს დანიშნავს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია.

7. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრებს დანიშნავს (სექციების მიხედვით), ერთი წლის ვადით, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენით, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრებად დაინიშნებიან განათლების სხვადასხვა დარგის გამოჩენილი თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები.

8. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ჰყავს სეკრეტარიატი, რომლის სათავეშიაც სდგას სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მეცნიერი მდივანი; იგი უშუალოდ თავმჯომარეს ემორჩილება.

---

216. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.ძ.ს.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით ანგარიშის გასწორების წესის დამყარების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ანაბარების შეტანის გაძლიერებისათვის, მოსახლეობის სახსართა მობილიზაციისათვის და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ გაცემულ ვადაგადაცილებულ სესხთა ლიკვიდაციისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საპიროდ იქნეს ცნობილი, რათა დამყარდეს შემდეგი წესი ანგარიშის გასწორებისა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, რასაც მოსახლეობა ჩააბარებს დამმზადებელ ორგანიზაციებსა და სპეციალურ კოოპერატივებს:

1. ყოველგვარი ანგარიშის გასწორება იმ ინდივიდუალურ მწარმოებლებთან და კოლექტიურ ორგანიზაციებთან, რომელნიც აბარებენ დამმზადებელ ორგანიზაციებსა და სპეციალურ კოოპერატივებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (აბრეშუმის ჭიის პარკი, თამბაქო, ჩაი, თხილი და სხვა), აწარმოებენ სათანადო რაიონების სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი.

2. დამმზადებელი ორგანიზაციისა და სპეციალური კოოპერატივის სალარო გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას და იგი ეალდებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ორგანიზაციის სახელობითი ორდერით და მისივე ანგარიშით გადაუხადოს მწარმოებელთ ის თანხები, რაც მათ ერგებათ კონტრაქტაციით და გასასაღებელი ოპერაციით ჩაბარებული პროდუქციისათვის ამხანაგობის მიერ ორგანიზაციისაგან მიღებული თანხების ფარგლებში.

3. დამმზადებელი ორგანიზაცია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკთან წინასწარი შეთანხმებით, დასდებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან ხელშეკრულობას, რომელითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმალური საკომისიო გასამრჯელო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის სასარგებლოდ მის მიერ საშუამავლო მომსახურეობის გაწევისათვის; ეს საკომისიო გასამრჯელო ისეთი რაოდენობისა უნდა იყოს, რომ დამმზადებელი ორგანიზაციისა და სპეციალური კოოპერატივისათვის ხელსაყრელი გახდეს გადასცეს ამხანაგობას თავის ანგარიშგასწორების ოპერაციები და ამით შეამციროს თავისი ხარჯები, რაც საჭიროა მოლარის შესანახად და სხვ.

4. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მეშვეობით ანგარიშის გასწორება საეალდებულოა მხოლოდ იმ რაიონისათვის, რომელიც დაშორებულია საკრედიტო ამხანაგობაზე არა უმეტს, ვიდრე 6 ვერსია და როდესაც შესყიდვა სწარმოებს კარდაკარ წვრილ-წვრილი პარტიობით (მაგალითად კვერცხის დამზადება), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამა თუ იმ სოფლის გლეხები ხელსაყრელად მიიჩნევენ ანგარიშის გასწორებას ცენტრალიზებული წესით.

5. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, დამმზადებელ ორგანიზაციებთან (აბრეშუმის ტრესტი, „საქართველოს ჩაი", „საქართველოს სახელმწიფო ეაპრობა", საქართველოს საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, „საქართველოს ღვინო" და სხვ.) დადებული ხელშეკრულების ძალით, პასუხისმგებელია მათ წინაშე იმ სახსართა დაცვისათვის, რასაც დამმზადებელი ორგანიზაციები სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ გადასცემენ, აგრეთვე პროდუქციის ჩამბარებელთან ანგარიშის თავის დროზე გასწორებისათვის და სხვა ნაკისრებ ვალდებულებათათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი—სასახლე.

---

217. დადგენილება ს. კ ს.

სამედიცინო და საველტერინარო დარგის მომუშავეთა, აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სოფლად და მუშებით დასახლებულ ადგილებში სამუშაოდ სამედიცინო და საველტერინარო დარგების კვალიფიციურ მომუშავეთა, აგრეთვე სასოფლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა ჩასაბმელად და „შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, აგრეთვე სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშაველებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-რი მუხ. 55) მე-5 მუხლის შესასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, როდესაც იგი სოფლად და მუშებით დასახლებულ ადგილებში სამუშაოდ მიიწვევს სამედიცინო, სავეტერინარო და აგრონომიული დარგის მომუშაველ უბნის გამგის თანამდებობაზე, აგრეთვე როდესაც იგი მიიწვევს უბნებში სამუშაოდ სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთ, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი და ტეხნიკური დაუმთავრებიათ, დასდოს მათთან შეთანხმება მორიგი შვებულების ერთ [illegible]ვიდან გაგრძელების შესახებ, სამი წლისთვის შვებულების შეჯამების უფლებით.

2. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ღონისძიება, რათა მათ გამგებლობაში მყოფი უბნები და სკოლები, სადაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული კატეგორიების მომუშაველნი მუშაობენ, უზრუნველყოფილ იქნენ სათანადო სპეციალური ლიტერატურით.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშაველთ, რომელთაც სოფლად ან მუშებით დასახლებულ ადგილებში შეუწყვეტლივ სამი წელიწადი მაინც უმუშავნიათ, მიეცეს, კვალიფიკაციის თანასწორობის პირობებში, უპირატესი უფლება თანამდებობის ქალაქად მიღებისა.

4. დაევალოს ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გაითვალისწინონ ყოველწლივ თავიანთ ბიუჯეტში სახსარი, რაც საჭირო იქნება ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად.

5. დაევალოს მთავრობის ყველა გაზეთის გამომცემლობას უსასყიდლოდ მოათავსოს გაზეთში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებისა და ამ უკანასკნელთა ადგილობრივი ორგანოების განცხადებანი ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ მომუშაველთა შრომისადმი მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—დაიწესოს, რომ ყოველთვის, როდესაც კი სათანადო სასამართლოში ირჩევა სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავის ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულის საქმე, რაც დაკავშირებულია ამ მომუშავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან სოფლად ან მუშებით დასახლებულ ადგილას, სასამართლომ აუცილებლად მიიწვიოს იმავე პროფესიის სახალხო მსაჯული, უკეთუ იგი ირიცხება ამ სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიაში.

7. ეს დადგენილება და აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 4-ის დადგენილება „სამედიცინო და სავეტერინარო

MUSEUM OF GEORGIA

დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებლებში მიღების მხრით მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წლ. № 13, მუხ. 142) გავრცელებულ იქნეს ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა შორის ისეთებზედაც, ვინც სამუშაოდ მიწვეული იქნება სამაზრო ქალაქის იმ უბანში, რომელიც მომსახურეობას სოფლის მოსახლეობას უწევს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. სექტემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

218. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს 1928-29 და 1929-30 სბიუჯეტო წლებში საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოებისათვის მიკუთვნილი მიწის ნაკვეთები რენტის გადახდევინებისაგან.

2. დატოვებულ იქნეს ძალაში 1929 წ. აპრილის 1-დან 1930 წ. ოქტომბრის 1-მდე „რესპუბლიკანურსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩასარიცხ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდის სფეროში ზოგიერთი ორგანიზაციისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 8-ს დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 33) მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. სექტემბრის 3.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

219. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929/30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიათა საბჭოს 1929 წ. ივლისის 24-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „წყლის გამოსაღების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 49 №-რი, მუხ. 440 და 441) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენილებისა „1929/30 საგადასახადო წელს წყლის გამოსაღების ჩატარების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 135)—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქვემოდ ჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული წესი 1929/30 საგადასახადო წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

2. წყლის გამოსაღები შემოიღება საქართველოს სსრ წყლის ქსელის ექსპლოატაციისა და წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შესანახად საჭირო ხარჯების დასაფარავად.

წყლის გამოსაღებით შემოსული თანხები მოხმარდება შემდეგ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან:

ა) წყალ-სამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტს და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებულ პროექტირებას;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვასა და რემონტს;

გ) არსებულ წყლის სისტემათა სატელეფონო კავშირგამბმულობის შენახვასა და რემონტს;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრიას და მიმდინარე სტატისტიკას;

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხეთა-რგვის საქმისათვის ხელისშეწყობას;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოებს;

ზ) ქვედა წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა საექსპლოატაციო შტატის შენახვას, სოფლ-ი დაწესებულებათა. გამოკლებით; აგრეთვე მერაბებისა, ჯუვარებისა, ყარაულებისა, მოარული დარაჯებისა და სხვ. სრულ შენახვას.

შენიშვნა. მთლად საირიგაციო სისტემაზე საწარმოები ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყლის გამოსაღებით არ დაიფარება. (წყლის გამოსაღების 1929 წ. ივლისის 24-ს დებულების 1 და 2 მუხ.).

3. წყლის გამოსაღები გადაჰხდება ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც-კი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოიყენებს წყალ-სამეურნეო სისტემას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისა ან მელიორაციისათვის, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 29-ს დადგენილების 27 მუხლში გაათვალისწინებული წესით (წყლის გამოსაღების მე-5 მუხლის მე-2 შენიშვნა).

6. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავალი სოფლად მდებარე წყალმომმქედ საწარმოსი, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, განისაზღვრება ამ საწარმოს შემოსავლის იმ თანხის მიხედვით, რაც 1929/30 წელს დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

(წყლის გამოსაღების დებულების მე-6 მუხლი).

7. წყლის გამოსაღების რაოდენობა თვითეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის სოფლად განისაზღვრება სარწყავი მიწისა და წყალმომმქედ საწარმოს დასაბეგრი შემოსავლის თანხის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხლების თანახმად შემდეგ განაკვეთებზე:

ა) მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიისათვის, ტფილისის ოლქის ყარაიაზის რაიონის გამოკლებით:

როდესაც საერთო თანხა მეურნეობის შემოსავლისა, რაც ერთიანი სას.-სამერ. გადასახადით იბეგრება, არის:		სარწყავი მიწისა და წყალმომქედი საწარმოს შემოსავლის თვითეულ მანეთზე:
არა უმეტეს	— 100 მანეთის	2 კაპ.
100 მან. მეტი	— 200 მანეთამდე	3 „
200 „ „	— 300 „	5 „
300 „ „	— 400 „	7 „
400 „ „	— 500 „	9 „
500 „ „	— 600 „	11 „
600 „ „	— 700 „	13 „
700 „ „	— 900 „	16 „
900 „	მეტი —	18 „

ბ) ტფილისის ოლქის ყარაიაზის რაიონისათვის:

როდესაც საერთო თანხა მეურნეობის შემოსავლისა, რაც ერთიანი სას.-სამეურ. გადასახადით იბეგრება, არის:		სარწყავი მიწისა და წყალმომქედი საწარმოს შემოსავლის თვითეულ მანეთზე:
არა უმეტეს	100 მანეთისა	4 კაპ.
100 მან. მეტი	— 200 მანეთამდე	6 „
200 „ „	— 300 „	10 „
300 „ „	— 400 „	14 „
400 „ „	— 500 „	18 „
500 „ „	— 600 „	22 „
600 „ „	— 700 „	26 „
700 „ „	— 900 „	32 „
900 „	მეტი —	36 „

(წყლის გამოსაღების დებულების მე-7 მუხ. და ა/კსფსრ სახ. კომ-თა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადადგენილების მე-II მუხ.)

8. წყლის გამოსაღების რაოდენობა საბჭოთა მეურნეობისა და კოლექტიურ მეურნეობისათვის განისაზღვრება; ა) ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხ. წესისამებრ აღრიცხული სარწყავი მიწებისა და წყალმომქმედ საწარმოს შემოსავლის თანხის მიხედვით და ბ) წყლის გამოსაღების საშუალო განაკვეთის მიხედვით უწყვეტულ რაიონში (ხოლო იქ, სადაც რაიონი მოწყობილი არ არის—მაზრაში) ამ გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

(წყლის გამოსაღების დებულების მე-8 მუხ.).

9. ქალაქისა და საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილისათვის, აგრეთვე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი საწარმოსათვის, რომელიც წყალს გამოიყენებს სამრეწველო და სატეხნიკო მიზნით ან როგორც ამამოძრავებელ ძალას (სხვათა შორის—რკინის გზისათვისაც) წყლის გამოსაღები დაწესდება შემდეგი განაკვეთებით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე — 0,2 კაპ.

ბ) ადგილობრივი ტიპის წყალმომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, ნანაყავი და სხვ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვაღლენზე ან წყვილ მორგვზე იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება თუ სხვა არხში . 5—15 მან.

გ) საინჟენერო ტიპის წყალმოქმედ საწარმოსათვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს გამოიყენებს როგორც ამამოძრავებელ ძალას,—თვითეულ ძალაზე—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება თუ სხვა არხში . . . . . 10—20 მან.

დ) იმ საწარმოსათვის, რომელიც წყალს გამოიყენებს სამრეწველო და სატეხნიკო მიზნით (სხვათა შორის რკინის გზისთვისაც)—მოსახმარებელი წყალის რაოდენობის მიხედვით—თვითეულ კილოლიტრზე . . . . . 1—65 კაპ.

(წყლის გამოსაღების დებულების მე-10 მუხ. და აკსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენილების მე-IV მუხ. 1—4 პუნქტებით).

10. წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

ა) ყველა მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც 1929-30 წ. განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან როგორც დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 29-ს დადგენილების 33 მუხ. თანახმად, ისე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიების მიერ—იმავე დადგენილების 50 მუხლის წესისამებრ (წყლის გამოსაღ. დებ. მე-12 მუხლი);

ბ) წყალმოსარგებლეთა ყველა კოლექტიური შენაერთი (სამელიორაციო ამხანაგობა), რომელმაც იკისრა უწყვეტული წყლის სისტემის ექსპლოატაცია მთლად ან ნაწილობრივ და რომელიც ეწევა ამ ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ, ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებს (წყლ. გამოსაღ. დებ. მე-13 მუხლი);

11. 1929/30 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელსაც ჰყავს 7 და 8 მეჰექტარი მინიჭებული აქვს შეღავათი—შენაწერი წყლის გამოსაღების 5%-ს რაოდენობით, ხოლო იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუნეობას, რომელსაც ჰყავს 9 და 10 მეპამელი—10%-ს რაოდენობით და რომელსაც ჰყავს 11 და მეტი მეპამელი—15%-ს რაოდენობით.

(წყლ. გამოსაღ. დებულ. მე-7 მუხლის შენიშვნა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენ. მე-III მუხ.).

შენიშვნა. იმ მეურნეობას, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით არის დაბეგრილი, ამა მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ მიეცემა (ა/კსფრს სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენილების III მუხ. შენიშვნა).

12. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია მაისის 1-დან აპრილის 30-დე ამიანად.

(წყლის გამოსაღების დებულების მე-15 მუხ).

13. წყლის გამოსაღები მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითურთ—გადახდილ უნდა იქნეს სამს ვადაზე:

1929 წ. ოქტომბრის 15—თვის . . . . 20% შეწერილი გამოსაღებისა.

1929 წ. დეკემბრის 1—თვის . . . . 50% „ „

1930 წ. თებერვლის 1—თვის . . . . 30% „ „

(წყლ. გამოსაღ. დებულ. 16 მუხ. და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენილების მე-IV მუხ. მე-6 პუნქტი).

14. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება დაეკისრება:

ა) სოფლად და აგრეთვე ისეთ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით—იმ ორგანოებს, რომლებიც გათვალისწინებულ არიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 29-ს დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929/30 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-7 №-რი, მუხ. 60 და მე-12 №-რი, მუხ. 117);

ბ) ისეთ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი არ არის, იმ ორგანოებს, რომლებიც რენტის გამოანგარიშებას და გადახდევინებას აწარმოებენ.

შენიშვნა. წყლის გამოსაღების გადახდევინება შეიძლება ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად (წყლ. გამოსაღ. დებულ. მე-17 მუხლი).

15. წყლის გამოსაღების გადამხდელნი შუამდგომლობასა და საჩივარს შეიტანენ: ა) საჩივარს შემოსავლის წყაროების არასისწორით აღნუსხვის ან გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღების არასისწორით გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე შუამდგომლობას შეწყალებათების მინიჭების შესახებ—ერთი თვის ვადაზე საშენაწერო ფურცლის ჩაბარების დღიდან და ბ) შუამდგომლობას სტიქიურ უბედურებათა გამო შეღავათის მინიჭების შესახებ.—ერთი თვის ვადაზე სტიქიური უბედურების დროიდან. ამ საჩივრებს და შუამდგომლობებს განიხილავენ მე-14 მუხლში აღნიშნული ორგანოები ერთი კვირის ვადაზე იმ წესის დაცვით, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადისა თუ რენტის გამო შეტანილ შუამდგომლობათა და საჩივართა განხილვისათვის.

(წყლ. გამოსაღ. დებულ. მე-18 და 19 მუხლ. და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგ. მე-IV მუხ. მე-7 პუნქტი.

16. იმ გადამხდელს, რომელიც არ შეიტანს წყლის გამოსაღებს დაწესებულ ვადაზე, შეეფარდება „გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებანი.

(წყლის გამოსაღ. დებულ. მე-20 მუხლი).

17. წყლის გადასახადით შემოსული თანხები ჩაირიცხება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ სახსარში, რასაც ინახავს და ხარჯავს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო მარტოოდენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საქიროებისათვის თანახმად იმ წესისა, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ს დადგენილებით „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 21 №-რი, მუხ. 242).

ამ წესის დარღვევა და წყლის გამოსაღებით შეკრეფილი თანხების დახარჯვა არა იმ მიზნებისათვის, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლშია გათვალისწინებული, გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირის პასუხისგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით. (ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ს თარიღისა და 152 №-ის დადგენილების მე-IV მუხლის მე-8 პუნქტი).

18. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით—სათანადო შემთხვევაში.

19. წყლის გამოსაღების გადამხდელნი, ამ გამოსაღების გადახდის დამოუკიდებლად, გაიწვევიან ნატურალურ წყალ-სამეურნეო ბეგარაზე განსაკუთრებული კანონის თანახმად.

(წყლის გამოსაღების დებულ. 22 მუხლი).

20. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: ა) 1929 წ. თებერვლის 12-სა „საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების განაკვეთების დაწესებისა და ამ გამოსაღების გადახდევინების წესის შესახებ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-რი, მუხ. 56) და ბ) 1929 წ. მარტის 8-სა „წყლის გამოსაღების განაკვეთების დაწესებისა და ამ გამოსაღების გადახდევინების წეწის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 12-ს დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-რი, მუხ. 59).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს სექმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. სექტემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 216 №-ში 1929 წ. სექტემბრის 19.

---

220. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929-30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1929 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილების მე-3 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929-30 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 10-ს დადგენილების მე-3 მუხლს (გაზ. „კომუნისტი“-ს 216/2562 №-რი 1929 წ. სექტემბრის 19-სა) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** წყლის გამოსაღები არ უნდა გადახდეს იმ წყალმოქმედ საწარმოს, რომელიც წყალს ხმარობს, როგორც ამომაძრავებელ ძალას ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით პირდაპირ ბუნებრივ წყალსათავსიდან (მდინარიდან, ტბიდან და სხვ.)“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს სექმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. სექტემბრის 17.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 219 №-ში 1929 წ. სექტემბრის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

1929 წ. „კანონთა კრებული"-ს № 13 გვერდი 343 სტრიქონი ზევიდან 19

დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
თანხმობის განცხა- დებით ფაქტიური...	თანხმობის განცხა- დებით, ფიქტიური...

საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1.620 დაიბეჭდა 1.250